ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION

# სტაფილოს ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

PEOPLE IN NEED CZECH REPUBLIC

MPG

Research

# სტაფილოს ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად„ დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ახორციელებს „ფიფლ ინ ნიდ“.

წინამდებარე პუბლიკაცია გამოცემულია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ „ფიფლ ინ ნიდ“ და პი ემ სი კვლევითი ცენტრი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

თბილისი, 2019

კვლევის კოორდინატორი: ნინო ხატისაშვილი
უფროსი მკვლევარი: სალომე გელაშვილი

მკვლევრები:
ნინო ხატისაშვილი
მარიამ საღარეიშვილი
სოფო ბასილიძე

კვლევის პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ორგანიზაციებმა:
ასოციაცია „ტოლერანტი“
სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განვითარების სააგენტო
ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი

# შინაარსი


შემაჯამებელი მიმოხილვა ..... 8
1. შესავალი ..... 10
1.1 კვლევის მიზანი ..... 10
1.2 სტაფილოს წარმოების მნიშვნელობა ..... 11
1.3 ევროკავშირთან ვაჭრობა და DCFTA ..... 11
2. კვლევის მეთოდოლოგია ..... 13
2.1 სამაგიდე სამუშაოები ..... 13
2.2 საველე სამუშაოები ..... 14
2.3 კვლევის შეზღუდვები ..... 15
3. სტაფილოს სექტორი საქართველოში ..... 16
3.1 სტაფილოს წარმოება საქართველოში ..... 16
3.2 სტაფილოს წარმოება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ..... 17
3.2.1 სტაფილოს ჯიშები ..... 20
3.2.2 სტაფილოს პროდუქტები ..... 21
4. სტაფილოს ღირებულებათა ჯაჭვი სამცხე-ჯავახეთში ..... 23
4.1 ჯაჭვის მონაწილეები ..... 23
4.2 ჯაჭვში მიმდინარე პროცესები ..... 27
4.3 ხარჯებისა და ნამატების ანალიზი ფერმერისთვის ..... 29
4.4 ღირებულების „Flow chart'' ..... 29
5. ღირებულებათა ჯაჭვის დაფინანსების ანალიზი ..... 30
5.1 დაფინანსების საშუალებების მიმოხილვა ..... 30
5.2 ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეების ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და ბარიერები ..... 34
6. სექტორის განვითარების პოტენციალი ეროვნულ ბაზარზე ..... 36
6.1 დასაქმების შესაძლებლობები ..... 36
6.2 შემოსავლების გენერირება ..... 36
6.3 გარემოზე გავლენა ..... 36
7. გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში მონაწილეობის პოტენციალი ..... 37
7.1 სტაფილოს სექტორი მსოფლიოში ..... 37
7.2 სტაფილოთი საერთაშორისო ვაჭრობა ..... 40
7.3 ევროკავშირში სტაფილოს ექსპორტის პოტენციალი ..... 43
8. SWOT ანალიზი და დისკუსია ..... 52
9. რეკომენდაციები ..... 55
9.1 რეკომენდაციები მწარმოებლებს ..... 55
9.2 რეკომენდაციები კერძო სექტორს ..... 55
9.3 რეკომენდაციები მთავრობას ..... 56
9.4 რეკომენდაცია CSO-ებისთვის ..... 56
10. ბიბლიოგრაფია ..... 57

# ცხრილები

ცხრილი 1. ინდივიდუალური ინტერვიუების ჩამონათვალი....14
ცხრილი 2. ფოკუს ჯგუფების მახასიათებლები....15
ცხრილი 3. სტაფილოს მოსავლიაონობა მუნიციპალიტეტების მიხედვით, 2017 წელი....19
ცხრილი 4. სტაფილოს მწარმოებელი სოფლები, 2017 წელი....19
ცხრილი 5. სტაფილოს ჯიშები....20
ცხრილი 6. სტაფილოს პროდუქტები....22
ცხრილი 7. ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები....23
ცხრილი 8. აგროდაზღვევის პირობები სტაფილოსთვის....25
ცხრილი 9. სტაფილოს მოვლა-მოყვანის აგრო კალენდარი....28
ცხრილი 10. ხარჯებისა და ნამატების ანალიზი ფერმერისთვის....29
ცხრილი 11. პროგრამა „დანერგე მომავალი“-ს შედეგები 2015-2017....31
ცხრილი 12. პროგრამა „შეღავათიანი აგრო კრედიტი“-ს შედეგები 2013-2017....32
ცხრილი 13. პროგრამა „აგროდაზღვევი“-ს შედეგები 2014-2017....33
ცხრილი 14. სტაფილოსა და თალგამის უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყნები მსოფლიოში, (%)....39
ცხრილი 15. სტაფილოსა და თალგამის უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნები მსოფლიოში, (ტ)....40
ცხრილი 16. ევროკავშირში უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნების სავაჭრო პარტნიორები, 2017 წელი....45
ცხრილი 17. ევროკავშირის ქვეყნების აგრო კალენდრები....45
ცხრილი 18. საბერძნეთის სტაფილოს ბაზრის სავაჭრო ინდიკატორები....47
ცხრილი 19. საბითუმო ფასები და თვითღირებულება ევროკავშირის რიგ ქვეყნებში....48
ცხრილი 20. დანახარჯები ექსპორტის დროს....50
ცხრილი 21. წარმოების დანახარჯები GLOBALG.A.P-ის გათვალისწინებით....51
ცხრილი 22. სვოტ ანალიზი....53

## დიაგრამები


დიაგრამა 1. სტაფილოს წარმოება საქართველოში 2014-2017 წწ....16
დიაგრამა 2. სტაფილოს წარმოება საქართველოში 2006-2013 წწ....17
დიაგრამა 3. ერთწლოვანი კულტურების ნათესი ფართობები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, 2017 წელი....18
დიაგრამა 4. სტაფილოს ნათესი ფართობების გადანაწილება მუნიციპალიტეტებს შორის, 2017 წელი....18
დიაგრამა 5. სტაფილოს ფასი....20
დიაგრამა 6. სტაფილოსა და თალგამის წარმოება მსოფლიოში....37
დიაგრამა 7. სტაფილოსა და თალგამის უმსხვილესი მწარმოებლები და მათი წილი მსოფლიო წარმოებაში, 2016 წელი....38
დიაგრამა 8. ყველაზე მაღალი მოსავლიანობის მქონე ქვეყნები, 2016 წელი....38
დიაგრამა 9. სტაფილოსა და თალგამის მწარმოებელთა ფასები მსოფლიოში, 2012-2016 წწ. ....39
დიაგრამა 10. სტაფილოს ექსპორტ-იმპორტი, (ტ)....40
დიაგრამა 11. იმპორტიორი ქვეყნები, 2014-2017 წწ....41
დიაგრამა 12. საექსპორტო ბაზრები, 2014-2017 წწ....42
დიაგრამა 13. ევროკავშირის უმსხვილესი იმპორტიორები, 2017 წელი....44
დიაგრამა 14. სტაფილოსა და თალგამის მწარმოებელთა ფასები (საშუალო) ევროკავშირში....46
დიაგრამა 15. მწარმოებელთა ფასები ევროკავშირის რიგ ქვეყნებსა და საქართველოში....46


## ნახაზები


ნახაზი 1. სტაფილოს ღირებულებათა ჯაჭვი....26
ნახაზი 2. ჯაჭვის ძირითადი პროცესები....27
ნახაზი 3. დამატებითი ღირებულება ჯაჭვის თითოეულ რგოლში....29


## აკრონიმები

| | |
|---|---|
| DCFTA | Deep and Comprehensive Free Trade Area |
| GSP | Generalized System of Preferences |

# შემაჯამებელი მიმოხილვა

სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ფერმერების უმეტესობას პროდუქტიულობა საკმაოდ დაბალია, საქართველოს კლიმატურ-ნიადაგური პირობები ბევრი სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოების საშუალებას იძლევა, მათ შორის ხილისა და ბოსტნეულის.

ამ კვლევის მიზანია სტაფილოს ღირებულებათა ჯაჭვის შესწავლა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და იმის დადგენა თუ რა გამოწვევების წინაშე დგას ეს სექტორი. კვლევა მიზნად ისახავს სტაფილოს ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეების განსაზღვრას, მათი ურთერთკავშირების დადგენასა და ევროკავშირის ბაზარზე სტაფილოს საექპორტო პოტენციალის კვლევას.

კვლევა ეფუძნება სამაგიდე და საველე სამუშაოებს, რომელთა განმავლობაშიც მოხდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სტაფილოს წარმოება-გასაღებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და დამუშავება. სულ ჩატარდა 24 ინდივიდუალური ინტერვიუ და 3 ფოკუს ჯგუფი.

სტაფილოს წარმოება საქართველოში სეზონურია და ძირითადად იმპორტული სტაფილო მოიხმარება. საქართველოში სტაფილოს წარმოებაში წამყვანი რეგიონებია სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სტაფილოს წარმოება საქართველოში დაღმავალი ტრენდით ხასიათდება და 2014 წელს თუ 4.9 ათასი ტონა იყო, 2017 წელს 4-ჯერ ნაკლები სტაფილო იწარმოა ქვეყანაში. სტაფილო ისევე როგორც სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ძირითადად თურქეთიდან შემოდის საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად სტაფილოს წარმოება შემცირებულია, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ სტაფილოს წარმოებას საკმაოდ ბევრი დადებითი მხარე აქვს. სტაფილო შეესაბამება სამცხე-ჯავახეთის კლიმატურ-ნიადაგურ პირობებს და ამ რეგიონში სტაფილოს წარმოების ყველაზე დიდი გამოცდილება და ცოდნაა დაგროვილი სხვა რეგიონებთან შედარებით. სტაფილო არის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ბოსტნეული, რომელიც საკმაოდ კარგად ინახება და არ არის მალფუჭებადი. გარდა ამისა იგი არის უხვმოსავლიანი და შედარებით ადვილად მოსაყვანი, ვინაიდან საკმაოდ რეზისტენტულია დაავადებების მიმართ და არ საჭიროებს ბევრ რწყვას. რესპოდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ სტაფილოს მოყვანა საქართველოს სხვა რეგიონებშიც შეიძლება და ასევე შესაძლებელია მოსავლის წელიწადში ორჯერ აღება, რაც ევროპაში აპრობირებული პრაქტიკაა.

კვლევის თანახმად, რეკომენდირებულია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სტაფილოს ნათესი ფართობების გაზრდა შემდეგი მიზეზების გამო:

1. კარტოფილი არის რეგიონისთვის მონოკულტურა, რაც უარყოფითად აისახება მიწის ნაყოფიერებაზე. წლიდან წლამდე ერთი და იგივე კლტურის თესვა იწვევს ნიადაგის გამოფიტვასა და პროდუქტიულობის შემცირებას. ამიტომ აუცილებელია კულტურების მონაცვლეობა, რისთვისაც საკმაოდ კარგად გამოდგება სტაფილო.

2. ერთ კულტურაზე დამოკიდებულება ზრდის რისკს ფერმერისთვის. მართალია სპეციალიზაცია ხელს უწყობს წარმოების მასშტაბს და შედეგად ამცირებს დანახარჯებს ერთეულის წარმოებაზე, ერთ კულტურაზე ფოკუსირება მაინც სარისკოა ფერმერისთვის.

3. იმპორტის დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, მოთხოვნა სტაფილოზე მაღალია, რაც მოუთითებს იმაზე, რომ ფერმერისთვის სტაფილო კომერციულად მიმზიდველი კულტურაა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ბევრია დაუმუშავებელი სასოფლო-სამეურნეო მიწა, აუცილებელია ისეთი სასფოლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ზრდა ადგილობრივად, რომელიც ამ ეტაპზე თითქმის სრულად ჩანაცვლებულია იმპორტირებული პროდუქტით.

რაც შეეხება სტაფილოს ექსპორტს ევროკავშირში, ამ ეტაპზე უფრო მიზანშეწონილია იმპორტის ჩანაცვლებაზე ფოკუსირება შემდეგი მიზეზების გამო:

1. სტაფილოს უმსხვილესი მწარმოებლები ევროპული ქვეყნები არიან რაც ამცირებს ქართული სტაფილოს კონკურენტუნარიანობას ევროპულ ბაზარზე;

2. არსებული პროდუქტიულობის პირობებში, ქართული სტაფილოს თვითღირებულება მნიშვნელოვანად აღემატება უმსხვილესი ევროპელი მწარმოებლების თვითღირებულებას, რაც ასევე უარყოფითად აისახება ქართული სტაფილოს კონკურენტუნარიანობაზე;

3. ამჟამად რეგიონის ფერმერებისთვის სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სერტიფიკატის დანახარჯი ძალიან მაღალია, ვინაიდან სურსათის უვნებლობის სანიმუშო პრაქტიკაც კი არაა ამ ეტაპზე სრულად დანერგილი.

# 1. შესავალი

სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ფერმერების უმეტესობას პროდუქტიულობა საკმაოდ დაბალია, საქართველოს კლიმატურ-ნიადაგური პირობები ბევრი სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოების საშუალებას იძლევა, მათ შორის ხილისა და ბოსტნეულის. ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთნახმების (DCFTA) შედეგად ქვეყნისთვის შექმნილი შესაძლებლობების გამოყენებისთვის.

ევროკავშირის ბაზარი აერთიანებს მილიონობით მაღალი მსყიდველობითუნარიანობის მქონე მომხმარებელს, რაც გაყიდვების ზრდის რეალური პერსპექტივაა, თუმცა, ამ ბაზარზე შეღწევა საკმაოდ ძნელია და მნიშვნელოვან ხარჯებს უკავშირდება. განსაკუთრებით აქტუალურია სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული ის სტანდარტები, რომელთა დაკმაყოფილებაც მოეთხოვება იმპორტიორს. გარდა ამისა ეს ბაზარი საკმაოდ კონკურენტულია და გამოირჩევა მაღალი პროდუქტიულობის მქონე მწარმოებლებით. თუმცა ზემოთხსენებული ფაქტორები არ გამორიცხავს საქართველოსთვის გაზრდილი საექსპორტო პოტენციალის შესაძლებლობას, რომლის შესწავლასაც გულისხმობს წინამდებარე კვლევა.

ამ კვლევის მიზანია სტაფილოს ღირებულებათა ჯაჭვის შესწავლა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და იმის დადგენა თუ რა გამოწვევების წინაშე დგას ეს სექტორი. კვლევა მიზნად ისახავს სტაფილოს ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეების განსაზღვრას, მათი ურთერთკავშირების დადგენასა და ევროკავშირის ბაზარზე სტაფილოს საექპორტო პოტენციალის კვლევას.

გარდა ამისა კვლევის მიზანია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერება კვლევაში ჩართვის გზით, რათა მომავალში მათ თავად დამოუკიდებლად ჩაატარონ მსგავსი კვლევა.

## 1.1 კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სტაფილოს წარმოების პოტენციალის გამოვლენა და შემდეგი ასპექტების უფრო დეტალურად შესწავლა:

- სტაფილოს წარმოების პროცესი – იმ ეტაპების აღწერა, რომელიც ხორციელდება ჯაჭვში პირველადი პროდუქტის შესაქმნელად;
- სტაფილოს ღირებულებათა ჯაჭვში მონაწილეთა გამოვლენა და მათი აღწერა ზომის (მცირე, საშუალო, დიდი), გეოგრაფიული მდებარეობის (ადგილობრივი, საერთაშორისო) და სხვა რელევანტური მახასიათებლების მიხედვით;
- ჯაჭვში მონაწილეებს შორის კავშირების დადგენა და იმის გარკვევა რა ტიპის შეთანხმებები (ფორმალური, არაფორმალური) არსებობს ჯაჭვში;
- ხარჯებისა და ნამატების ანალიზი, რომელიც მოიცავს შემოსავლებს გაყიდვებიდან და დანახარჯების სხვადასხვა კატეგორიებს იმ მიზნით რომ დადგინდეს სტაფილოს მოგების მარჟა და მისი რენატბელურობა ფერმერისთვის;

- სტაფილოს პოტენციალის განსაზღვრა ევროკავშირის ბაზარზე და იმის დადგენა, თუ რამდენად კონკურენტული ფასი აქვს ქართულ სტაფილოს ევროკავშირის ბაზარზე. ასევე იმის დადგენა თუ ევროკავშირის რომელ ქვეყნებში არის განსაკუთრებით დიდი საექსპორტო პოტენციალი;

- სტაფილოს წარმოება-გასაღების სუსტი და ძლიერი მხარეების, შესაძლებლობებისა და საშიშროებების განსაზღვრა (SWOT ანალიზი);

- სტაფილოს სექტორის განსავითარებლად ჯაჭვის სხვადასხვა მონაწილეებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

ანალიზი მიზნად ისახავს რეგიონში სტაფილოს წარმოებასთან დაკავშირებული გამოწვევების აღწერას და მათი გადაჭრის კონკრეტული გზების შემოთავაზებას, რათა რეგიონში სტაფილოს წარმოება გაიზარდოს და უფრო მომგებიანი გახდეს.

## 1.2 სტაფილოს წარმოების მნიშვნელობა

საქართველოს კლიმატურ-ნიადაგური პირობები იძლევა იმის საშუალებას, რომ ქართველმა ფერმერებმა მრავალი სახეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურა აწარმოონ, რაც აისახება იმაში, რომ საოჯახო მეურნეობების უმეტესობა დივერსიფიცირებულია და ჩართულია როგორც მეცხოველეობაში, ასევე მემცენარეობაში (ერთწლიანი და მრავალწლოვანი კულტურები).

სტაფილო ერთწლიანი კულტურაა – ბოსტნეული, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვა ბოსტნეულთან შედარებით, მცირე რაოდენოთ იწარმოება. სხვა ბოსტნეული – კარტოფილი, პომიდორი, კიტრი, კომბოსტრო და სხვა გაცილებით უფრო დიდი რაოდენობით იწარმოება ქვეყანაშიც და სამცხა-ჯავახეთის რეგიონშიც[1].

მიუხედავად შედარებით დაბალი წარმოების დონისა, სტაფილოს მოხმარება მაღალია მისი სასარგებლო თვისებების გამო. იგი გაჯერებულია ვიტამინებით და განსაკუთრებით სასარგებლოა ჩვილი ბავშვებისთვის როგორც პირველადი ისე გადამუშავებული პროდუქტის სახით.

წარმოების დაბალი დონიდან გამომდინარე სტაფილო ამ ეტაპზე არ წარმოედგენს ქვეყნის სოფლის მეურნეობისთვის წამყვან სასოფლო-სამეურნეო კულტურას, თუმცა მასზე მაღალი მოთხოვნა მიუთითებს მის პოტენციალზე როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზარზე.

## 1.3 ევროკავშირთან ვაჭრობა და DCFTA

2014 წელს საქართველომ ევროკავშირთან ახალი ტიპის სავაჭრო შეთანხმებას – ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. შეთანხმება ძალაში შევიდა 2016 წლის ივნისიდან, თუმცა საქართველოს მიეცა 10 წელი (გარდამავალი პერიოდი) იმისთვის, რომ მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის ჩამოსაყალიბება.

[1] სტატისტიკური მონაცემები წარმოდგენილია შემდეგ თავებში.

გარდა ამ შეთანხმებისა, საქართველოს სხვა ქვეყნებთანაც აქვს სავაჭრო შეთანხმებები. საქართველოზე, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყანაზე, ვრცელდება შეღავათები ორგანიზაციის სხვა წევრ ქვეყნებთან (164 წევრი სულ) ვაჭრობისას. ამასთანავე საქართველოს აქვს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი დსთ ქვეყნებთან. ასევე საქართველოს აქვს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი თურქეთთან; GSP შეთანხმება აშშ-სთან, შვეიცარიასთან, ნორვეგია, კანადა და იაპონიასთან და ე.წ. ''GSP+ ''[2] ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობისას. თუმცა DCFTA სხვა შეთანხმებებისგან განსხვავებულია იმით, რომ იგი მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის არა მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას ვაჭრობაში შეღავათების გზით, არამედ ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას და საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

DCFTA თხუთმეტ თავს მოიცავს[3], თუმცა ჰარმონიზაციისთვის რეკომენდაციების შემუშავების დროს ევროკომისიის მიერ გამოიყო ოთხი პრიორიტეტული სფერო: ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებები (სურსათის უვნებლობა), ინტელექტუალური საკუთრების უფლებები და კონკურენცია. ვინაიდან ეს კვლევა მიზნად ისახავს სტაფილოს პოტენციალის შესწავლას ევროკავშირის ბაზარზე, ამ კვლევისთვის განსაკუთრებით აქტუალურია პირველი ორი პრიორიტეტი – ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში და სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებები (სურსათის უვნებლობა). სწორედ ამ მიმართულებების განხილვა ხდება უფრო დეტალურად მე-9 თავში.

[2] ევროკავშირის პრეფერენციათა განახლებული სისტემა, ე.წ."ჯი-ეს-პი პლუსი" საშუალებას აძლევს საქართველოს მეწარმეებს ევროკავშირის ქვეყნებში დაახლოებით 7000-მდე დასახელების პროდუქტის ექსპორტი ნულოვანი საბაჟო გადასახადის პირობებში განახორციელონ. ამავე პროგრამის მიხედვით, საქართველოში დამზადებული 3600-მდე დასახელების ნაწარმი შეღავათიანი საბაჟო ტარიფით იბეგრება.

[3] ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ ხელშეკრულება, 2018, ამოღებულია http://www.dcfta.gov.ge/ge/agreement

# 2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება სამაგიდე და საველე სამუშაოებს, რომელთა განმავლობაშიც მოხდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სტაფილოს წარმოება-გასაღებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და დამუშავება. სამაგიდე სამუშაოების შედეგად შეგროვდა მეორადი ინფორმაცია, ხოლო საველე სამუშაოები წარმოადგენს პირველადი ინფორმაციის წყაროს.

სულ ჩატარდა 24 ინდივიდუალური ინტერვიუ და 3 ფოკუს ჯგუფი.

კვლევაში გამოყენებულ იქნა ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინსტრუმენტები.

ხარისხობრივი ინსტრუმენტები გულისხმობდა:

- სტაფილოს ღირებულებათა ჯაჭვის ასახვას;
- მმართველობის, კოორდინაციისა და კონტროლის მექანიზმების ანალიზს, რაც მოიცავდა იმ ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციების, რეგულაციებისა და სტანდარტების ანალიზს, რომელიც უკავშირდება სტაფილოს სექტორს;
- ჯაჭვის მოდერნიზაციის შესაძლებლობების ანალიზს.

რაოდენობრივი ინსტრუმენტებიდან გამოყენებულ იქნა ხარჯებისა და ნამატების ანალიზი, რაც გულისხმობდა ღირებულებათა ჯაჭვის თითოეულ საფეხურზე შექმნილი დამატებითი ღირებულების განსაზღვრა ჯაჭვის თითოეული მონაწილისთვის.

კვლევაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი საკვლევი კულტურის შერჩევასა და შემდგომში  საველე სამუშაოების ჩატარებაში.

საკვლევი კულტურის შერჩევა მოხდა შემდეგი კრიტერიუმებით: პროდუქტის საექსპორტო პოტენციალი ევროკავშირის ბაზარზე; იმპორტის ჩანაცვლების პოტენციალი ადგილობრივ ბაზარზე;  ჯაჭვში დამატებითი ღირებულების შექმნის პოტენციალი და რეგიონის სოფლის მეურნეობის სპეციფიკა (გამოცდილება, კლიმატურ-ნიადაგური პირობები და ა.შ.). აქედან ყველაზე დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ევროვაშირის ბაზარზე ექსპორტის პოტენციალს და ამ კრიტერიუმის წონამ შეადგინა 35%, ხოლო სხვა კრიტერიუმების წონები გადანაწილდა შემდეგნაირად: იმპორტის ჩანაცვლების პოტნეციალი – 25%, დამატებითი ღირებულების შექმნა – 20% და რეგიონის სოფლის მეურნეობის მახასიათებლები – 20%.

## 2.1 სამაგიდე სამუშაოები

სამაგიდე სამუშაოები მოიცავდა არსებული ლიტერატურის, ანგარიშების, სტატიებისა და სტატისტიკური ინფორმაციის მოძიებასა და გაცნობას. სამაგიდე სამუშაოების შედეგად შეგროვდა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- სტატისტიკური მონაცემები სტაფილოს წარმოების შესახებ საქართველოში და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში;

- სტაფილოს წარმოებისთვის საჭირო აგრო-ტექნიკური ღონისძიებები;
- სტაფილოსა და მისი პროდუქტების მახასიათებლები;
- სტაფილოს ექსპორტ-იმპორტის მონაცემები;
- მსოფლიოში სტაფილოს წარმოების შესახებ სტატისტიკური მონაცემები და წამყვანი მწარმოებლები;
- სტაფილოს ფასები ადგილობრივ და ევროკავშირის ბაზრებზე;
- ევროკავშირში სტაფილოს ლიდერი მწარმოებლები და მათი აგრო კალენდრები.

ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემების ნაწილი საველე სამუშაოს შედეგადაც შეგროვდა (მაგ. ფასები ადგილობრივ ბაზარზე, აგრო-ტექნიკური ღონისძიებები).

სამაგიდე სამუშაოები ჩატარდა 2018 წლის იანვარი – აგვისტოს პერიოდში და რიგ შემთხვევაში მიმდინარეობდა საველე სამუშაოების პარალელურად.

## 2.2 საველე სამუშაოები

საველე სამუშაოები ჩატარდა 2018 წლის მაისი – აგვისტოს პერიოდში და მოიცავდა ინდივიდუალურ ინტერვიუებს ჯაჭვის სხვადასხვა მონაწილესთან და ფოკუს ჯგუფებს სტაფილოს მწარმოებელ ფერმერებთან.

საველე სამუშაოების შედეგად მოხდა შემდეგი სახის ინფორმაციის შეგროვება:

- სტაფილოს ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები და მათ შორის კავშირები;
- სტაფილოს წარმოებაზე გაწეული დანახარჯები;
- შემოსავლები სტაფილოს წარმოებიდან;
- სტაფილოს ფასები ადგილობრივ ბაზარზე;
- სტაფილოს სექტორში არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები.

ქვემოთ მოცემულია ინდივიდუალური ინტერვიუების ჩამონათვალი (ცხრილი 1).

**ცხრილი 1. ინდივიდუალური ინტერვიუების ჩამონათვალი**

| # | რესპოდენტთა ჯგუფი | ინტერვიუების რაოდენობა | ჩატარების მეთოდი |
|---|---|---|---|
| 1 | ნედლეულის მიმწოდებელი აგრო-მაღაზიები | 3 | პირისპირ |
| 2 | ფერმერი | 15 | პირისპირ |
| 3 | ექსპორტიორი | 1 | სატელეფონო |
| 5 | ექსპერტი | 1 | პირისპირ |
| 6 | ექსპორტის განვითარების ასოციაცია | 1 | სატელეფონო |
| 7 | საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი | 1 | პირისპირ |
| 8 | სატრანსპორტო კომპანია | 1 | პირისპირ |
| 9 | საკონსულტაციო კომპანია სურსათის უვნებლობის საკითხებში | 1 | სატელეფონო |

*შენიშნვა: ორივე სამაცივრე ახორციელებს ექსპორტსაც*

რაც შეეხება ფოკუს ჯგუფებს, ისინიც 2018 წლის მაისი-აგვისტოს პერიოდში ჩატარდა. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა რაოდენობა საშუალოდ 6-ს შეადგენდა და ჯგუფები იყო შერეული, როგორც ეთნიკური, ასევე გენდერული თვალსაზრისით. ფერმერებს შორის იყვნენ როგორც მსხვილი (0.1 ჰა – 4 ჰა ნათესი ფართობი), ასევე წვრილი ფერმერები (0.1 ჰა-ზე ნაკლები ნათესი ფართობი). მონაწილეები უმეტეს შემთხვევაში მუნიციპალიტეტის რომელიმე ერთი სოფლის ფერმერებს წარმოადგენდნენ.

**ცხრილი 2. ფოკუს ჯგუფების მახასიათებლები**

| ფოკუს ჯგუფის # | მონაწილეთა რაოდენობა | მუნიციპალიტეტი | სოფელი |
|---|---|---|---|
| ფოკუს ჯგუფი 1 | 6 | ადიგენი | ბოლაჯური |
| ფოკუს ჯგუფი 2 | 6 | ახალციხე | ჭაჭარაქი |
| ფოკუს ჯგუფი 3 | 5 | ახალციხე | საძელი |

ინდივიდუალური ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები მიმდინარეობდა პარალელურად. ინდივიდუალური (სიღრმისეული ინტერვიუები) ჩაუტარდათ შედარებით მსხვილ ფერმერებს, ხოლო ფოკუს ჯგუფები ჩატარდა იმ სოფლებში, სადაც სტაფილო დიდი რაოდენობით იწარმოება.

## 2.3 კვლევის შეზღუდვები

კვლევას აქვს რამდენიმე შეზღუდვა:

- კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუების რაოდენობა არ არის რეპრეზენტატიული რეგიონისთვის. ამრიგად, საველე სამუშაოების შედარებით მცირე მასშტაბი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მიღებული შედეგები განზოგადდეს მთლიანად სამცხე-ჯავახეთის რეგიონზე.

- საქართველოში სტაფილოს წარმოების რეგიონალური მონაცემების სიმწირე არ იძლევა იმის საშუალებას, რომ განისაზღვროს როგორია რეგიონებს შორის წარმოების გადანაწილება.

- ვინაიდან ამ ეტაპზე ქართული სტაფილო ევროკავშირში ექსპორტზე არ გადის, ამ კუთხით მონაცემებისა და გამოცდილების სიმწირე აღინიშნებოდა რესპოდენტებში.

# 3. სტაფილოს სექტორი საქართველოში

## 3.1 სტაფილოს წარმოება საქართველოში

სტაფილო მიეკუთვნება ნიახურისებრთა (Apiaceae) ოჯახს და სწორი აგრო-ტექნიკური ღონისძიებების ჩატარების პირობებში დათესვიდან სამ კვირაში აღმოცენდება. მოვლის წესების დარღვევის შემთხვევაში, სტაფილოს აღმოცენებას შეიძლება ერთ თვეზე მეტიც დასჭირდეს და ამიტომ მნიშვნელოვანია სტაფილოს დათესვა მოხდეს ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში რაც შეიძლება ადრე. ამ შემთხვევაში თესლი სრულად ითვისებს ნიადაგში არსებულ ტენს, რაც ხელს უწყობს აღმოცენებას, თუმცა დაუშვებელია ტენის სიჭარბე, რომელიც სოკოვან დაავადებებს იწვევს და ხელს უწყობს სტაფილოს ლპობას. ამრიგად, სტაფილო ტენის ზომიერად მომთხოვნი მცენარეა. რაც შეეხება კლიმატურ პირობებს, სტაფილოსთვის ზომიერი კლიმატი არის ყველაზე მისაღები და მასზე უარყოფითად მოქმედებს მაღალი ტემპერატურა და მშრალი ნიადაგი.

სტაფილოსათვის საუკეთესო წინამორბედი კუტურებია: კიტრი, კომბოსტო, პომიდორი, ხახვი, საადრეო კარტოფილი, პარკოსნები და სხვ.

სტაფილოს წარმოება საქართველოში სეზონურია და ძირითადად იმპორტული სტაფილო მოიხმარება. ადგილობრივ ბაზარზე სტაფილოს მიწოდება ივლისის შუა რიცხვებში ქვემო ქართლიდან იწყება, სექტემბრის დასაწყისში – სამცხე-ჯავახეთის დაბლობიდან, ხოლო სექტემბრის შუა რიცხვებიდან სამცხე-ჯავახეთის მაღლობიდან გრძელდება. ადგილობრივი წარმოების ბაზარზე სტაფილო ხელმისაწვდომია თებერვლის ბოლომდე[4] და შემდეგ ბაზარში დომინირებს იმპორტული სტაფილო.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სტაფილოს წარმოება საქართველოში დაღმავალი ტრენდით ხასიათდება და 2014 წელს თუ 4.9 ათასი ტონა იყო, 2017 წელს 4-ჯერ ნაკლები სტაფილო იწარმოა ქვეყანაში.

**დიაგრამა 1. სტაფილოს წარმოება საქართველოში 2014-2017 წწ.**




*წყარო: საქსტატი, 2018*

[4] ბიზნეს პრეს ნიუსი, ამოღებულია: https://bpn.ge/biznesi/17803-saqarthveloshi-importirebuli-thurquli-stafilo-84-iani-machveneblith-liderobs.html, 2018

აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ 2006-2013 წლებში სტაფილოს წარმოება წლიდან წლამდე ძალიან დიდი ცვალებადობით ხასიათდებოდა, თუმცა აშკარა იყო ზრდის ტრენდი, რომელიც ასახულია ქვემოთ დიაგრამაზე:

**დიაგრამა 2. სტაფილოს წარმოება საქართველოში 2006-2013 წწ.**




*წყარო: საქსტატი, 2018*

2006-2013 წწ მონაცემები არ არის შესადარისი 2014-2017 წწ მონაცემებთან[5], თუმცა ცხადია, რომ თუ 2014 წლამდე ზოგ წელს ფიქსირდებოდა წარმოების ზდრა, მაშინ როდესაც 2014 წლის შემდეგ მხოლოდ შემცირება ფიქსირდება.

ამის შესაძლო მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ფერმერები უფრო რენტაბელურ და ნიშურ პროდუქტებზე გადაერთვნენ. თუმცა, ვინაიდან მოთხოვნა სტაფილოზე მსოფლიოში და საქართველოშიც მაღალია, მნიშვნელოვანია მისი ადგილობრივი წარმოების პოტენციალის შესწავლა.

## 3.2 სტაფილოს წარმოება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

მიუხედავად იმისა, რომ სტაფილოს წარმოების რეგიონალური მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი, ლიტერატურის[6] მიმოხილვიდან ირკვევა, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი ქვემო ქართლის რეგიონთან ერთად წარმოადგენს სტაფილოს ძირითად მწარმოებელ რეგიონებს საქართველოში.

ცხადია სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის წამყავნი კულტურა კარტოფილია, მაგრამ როგორც დიაგრამა 3-დან ჩანს, 2017 წელს სტაფილო იყო მესამე ადგილზე ერთწლოვანი კულტურების ნათესი ფართობის მიხედვით. ერთწლოვანი კულტურების ნათესი ფართობების 90.9% მოდიოდა კარტოფილზე, 1.7% – ჭარხალზე და 1.5% – სტაფილოზე.

[5] საქსტატმა ცვლილება შეიტანა მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგიაში

[6] ბიზნეს პრეს ნიუსი, ამორებულია: https://bpn.ge/ekonomika/17803-saqarthveloshi-importirebuli-thurquli-stafilo-84-iani-machvenebelith-liderobs.html, 2018

**დიაგრამა 3. ერთწლოვანი კულტურების ნათესი ფართობები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, 2017 წელი**




*წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ოპერატიული მონაცემები, 2018*

რაც შეეხება სტაფილოს ნათესი ფართობების სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებს შორის გადანაწილებას, ყველაზე მეტი ფართობი 2017 წელს სტაფილოს ეკავა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

**დიაგრამა 4. სტაფილოს ნათესი ფართობების გადანაწილება მუნიციპალიტეტებს შორის, 2017 წელი**




*წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ოპერატიული მონაცემები, 2018*

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შემდეგ, სადაც სტაფილოს ნათესი ფართობების 53% არის კონცენტრირებული, მოდის ნინოწმინდას მუნიციპალიტეტი, სადაც სტაფილოს ნათესი ფართობების 22% არის განლაგებული და 11% არის განლაგებული ახალციხის მუნიციპალიტეტში.

დიაგრამა 5-ში თავმოყრილია ინფორმაცია სტაფილოს მოსავალსა და მოსავლიანობაზე.

### ცხრილი 3. სტაფილოს მოსავლიაონობა მუნიციპალიტეტების მიხედვით, 2017 წელი

| მუნიციპალიტეტი | წილი ნათეს ფართობებში (%) | წილი მთლიან მოსავალში (%) | საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა) |
|---|---|---|---|
| ახალციხე | 11% | 12% | 17 |
| ადიგენი | 5% | 10% | 34 |
| ასპინძა | 4% | 3% | 13 |
| ბორჯომი | 6% | 4% | 12 |
| ახალქალაქი | 53% | 63% | 19 |
| ნინოწმინდა | 22% | 7% | 5 |

*წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ოპერატიული მონაცემები, 2018*

როგორც ზემოთმოცემულ ცხრილში ჩანს, ყველაზე მაღალი მოსავლიანობით გამოირჩევა ადიგენის მუნიციპალიტეტი, სადაც საჰექტრო მოსავლიანობა შეადგენს 34 ტონას, მაშინ როცა ახალქალაქში ეს მაჩვენებელი არის 19 ტ/ჰა. ყველაზე დაბალი მოსავლიანობა დაფიქსირდა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში და იგი მხოლოდ 5 ტონას შეადგენს ჰექტარზე.

სტაფილოს წარმოება მუნიციპალიტეტების სოფლებს შორის საკმაოდ არათანაბრად არის გადანაწილებული, რაც ჩანს ცხრილ 4-ში.

### ცხრილი 4. სტაფილოს მწარმოებელი სოფლები, 2017 წელი

| მუნიციპალიტეტი | სტაფილოს უმსხვილესი მწარმოებელი სოფლები და მათი ჯამური წილი მუნიციპალიტეტის მთლიან წარმოებაში |
|---|---|
| ახალციხე | საძელი, პამაჯი (51%) |
| ადიგენი | არალი, გორგული, უდე, ბენარა, ბოლაჯური, ჩორჩანი, ვარხანი (72%) |
| ასპინძა | ასპინძა, იდუმალა, ნაქალაქევი, ხიზაბავრა (68%) |
| ბორჯომი | ბალანთა, ტაბაწყური, ყვიბისი, დვირი (79%) |
| ახალქალაქი | კოჩიოს (73%) |
| ნინოწმინდა | გონდრიო (85%) |

*წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ოპერატიული მონაცემები, 2018*

აღსანიშნავია, რომ ორივე წამყვან მუნიციპალიტეტში, წარმოება კონცენტრირებულია თითოთითო სოფელში, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ამ სოფლებში სტაფილოს წარმოება შემოსავლის მნიშვენლოვანი წყაროა.

სტაფილო ფაქტიურად ყველა საოჯახო მეურნეობას აქვს დათესილი მცირე ფართობზე საკუთარი მოხმარებისთვის, ხოლო მათ ვისაც კომერციული მიზნით მოჰყავს სტაფილო, შედარებით დიდ ფართობებზე აქვთ დათესილი.

აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთის სტაფილოს ფასი უფრო დაბალია, ვიდრე საშუალო ფასი საქართველოს მასშტაბით და იმპორტული სტაფილოს ფასი. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სამცხე-ჯავახეთის სტაფილოს ახასიათებს მაღალი კონკურენტუნარიანობა ფასის თვალსაზრისით.

### დიაგრამა 5. სტაფილოს ფასი




*წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ოპერატიული მონაცემები, 2018*

## 3.2.1 სტაფილოს ჯიშები

საქართველოში ძირითადად სტაფილოს სამი ჯიში გავრცელებული: გორული ნანტი, შანტენე 2461 და გერანდა. მათი მახასიათებლები ქვემოთ ცხრილშია მოყვანილი:

### ცხრილი 5. სტაფილოს ჯიშები

| ჯიშის სახელწოდება | პერიოდი | მოსავლიანობა | ზამთარში შენახვისუნარიანობა |
|---|---|---|---|
| გორული ნანტი | საშუალო-საგვიანო; საქართველოს სხვადასხვა ზონაში აღმოცენებიდან ტექნიკურ სიმწიფემდე 100-110 დღეს[7] საჭიროებს. | 41,2- 85,2 ტ/ჰა | 79,4-84,4% |
| შანტენე 2461 | საშუალო-საგვიანო; საქართველოში სავეგეტაციო პერიოდი აღმოცენებიდან ტექნიკურ სიმწიფემდე 109-147 დღეა[8]. | 35,4-80,8 ტ/ჰა | 83,6-91,1%. |
| გერანდა[9] | საშუალო-საადრეოა | უხვმოსავლიანია | ინახება კარგად |

*წყარო: აგროკავკასია, სტაფილო – მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია და ჯიშები, ამოღებულია: http://agrokavkaz.ge/dargebi/mebostneoba/staphilo-movla-moqhvanis-teqnologia-da-jishebi.html, 2018*

[7] ზოგ წყაროში 80-100 დღე.

[8] ზოგ წყაროში 115-125 დღე.

[9] ამ ჯიშის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის.

როგორც ცხრილიდან ჩანს, გორული ნანტი უფრო მოსავლიანი ვიდრე შანტენე 2461, თუმცა ნაკლები შენახვისუნარიანობით ხასიათდება. გარდა ამისა გორულ ნანტს უფრო კარგი გემური თვისებები ახასიათებს. ყველა ჯიშის სტაფილო გამოიყენებადია როგორც უმად მოსახმარად, ასევე საკონსერვო წარმოებასა და საქონლის გამოსაკვებად.

უშუალოდ სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულია როგორც ადგილობრივად გამოყვანილი ჯიშები, ასევე უცხოური ჯიშები – ნანტი, შანტენე 2461, ფლაკე, როიალ ფორტი და ტიტო. ყველაზე დიდია მოთხოვნა ჰოლანდიურ, გერმანულ და იტალიურ თესლზე. ასევე იყენებენ სომხურსა და ფრანგულ თესლს. ადგილობრივად გამოყვანილი თესლი შედარებით მცირე რაოდენობით იყიდება, ვინაიდან ფერმერები როგორც წესი საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებენ მას. რესპოდენტებზე დაყრდნობით, ფერმერები შემდეგი მიზეზების გამო იძენენ იმპორტულ თესლს:

- ადგილობრივი თესლის მცირე რაოდენობა;
- მოსავლის მიღება უფრო მცირე დროში;
- მაღალმოსავლიანობა;
- სტანდარტული სტაფილო, რაშიც იგულისხმება ერთი და იგივე ფორმისა და ზომის სტაფილოები.

თუმცა რამდენიმე რესპოდენტმა ისიც აღნიშნა, რომ იმპორტული თესლი გარდა იმისა რომ უფრო ძვირია, მისი გამოყენებით სტაფილოს მოყვანა გარკვეულ ცოდნასა და გამოცდილებას საჭიროებს, რაც უფრო სარისკოს ხდის სტაფილოს იმპორტული თესლით მოყვანას. თუ ფერმერმა ვერ ჩაატარ სწორი აგროტექნიკური ღონისძიებები, იმპორტულ თესლში გადახდილი მაღალი ფასის გათვალისწინებით, ფერმერი ზარალდება. აქედან გამომდინარე ადგილობრივი თესლის გამოყენება ფერმერთა ნაწილს უფრო დაბალრისკიანად მიაჩნია.

### 3.2.2 სტაფილოს პროდუქტები

მსოფლიოში სტაფილოს მრავალი პროდუქტია ცნობილი, თუმცა საქართველოში სტაფილო ძირითადად პირველადი სახით გამოიყენება. ასევე გამოიყენება კონსერვებსა და საკონდიტრო წარმოებაში (მაგ. სტაფილოს ნამცხვარი). აღსანიშნავია, რომ სტაფილო გამოიყენება არა მხოლოდ საკვებად არამედ კოსმეტიკურ ინდუსტრიაშიც, რაც მას უფრო საინტერესო და მიმზიდველს ხდის მწარმოებლისთის.

ცხრილი 6 მოიცავს სტაფილოს ძირითად პროდუქტებს როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში.

### ცხრილი 6. სტაფილოს პროდუქტები

| პროდუქტის დასახელება | პროდუქტის აღწერა |
|---|---|
| **სტაფილო (პირველადი სახით), სტანდარტული ზომის** | საქართველოშიც და მსოფლიოშიც ყველაზე ხშირად სწორედ ამ სახით გამოიყენება. იწარმოება საქართველოში მცირე რაოდენობით ინდივიდუალური ფერმერების, კოოპერატივებისა და სათბურების მიერ. ქართული სათბურები „პლანტა“ და „ჰერბია“ სთავაზობენ მომხმარებელს დაფასოებულ და შეფუთულ სტაფილოს. |
| **სტაფილო პირველადი სახით, ე.წ. „baby carrot“** | პატარა ზომის სტაფილო, გავრცელებული და პოპულარულია ევროპაში; არ იწარმოება საქართველოში. |
| **სტაფილოს წვენი** | წვენის სახით გადამუშავებული სტაფილო, ძირითადად კომბინირებულია ფორთოხალთან, მაგრამ მონოწვენის სახითაც არის წარმოდგენილი ბაზარზე. კომპანია „კულა“ აწარმოებს სტაფილოს წვენს. ასევე წარმოდგენილია ბავშვთა კვებაში იმპორტული „Humana“-ს ბრენდის სტაფილოს წვენი. |
| **სტაფილოს კონსერვი** | გადამუშავებული სტაფილოს კიდევ ერთი ნაირსახეობა, რომელიც წარმოდგენილია ქართულ ბაზარზე და იწარმოება კომპანია „კულას“ მიერ სალათის სახით, რომელშიც სტაფილოს გარდა ასევე შედის ბულგარული წიწაკა, ხახვი, ზეთი, მარილი, მწვანილი, ტომატის სოუსი, ხმელი სანელებლები. |
| **სტაფილოს ჩირი** | ჩირის სახით არც ისე გავრცელებულია ამ ეტაპზე და ძირითადად საოჯახო მეურნეობები აწარმოებენ არაკომერციული მიზნით (საკუთარი მოხმარებისთვის). |
| **სტაფილოს ჩიფსი** | სტაფილოს ჩიფსი სტაფილოს სხვა პროდუქტებთან შედარებით ნაკლებად გავრცელებულია საქართველოში და მისი კომერციული მიზნით წარმოება არ ხდება. თუმცა შესაძლებელია დამზადდეს სახლის პირობებში და მიიჩნევა უფრო ჯანსაღ პროდუქტად ვიდრე მაგალითად კარტოფილის ჩიფსი. საზღვარგარეთ სტაფილოს ეს პროდუქტი უფრო გავრცელებულია. |
| **სტაფილოს პიურე** | ძირითადად ბავშვთა კვებაში არის გავრცელებული და ხშირად კომბინირებულია სხვა სახის ბოსტნეულთან; არ იწარმოება საქართველოში. |
| **სტაფილოს დესერტები** | დესერტებიდან ყველაზე გავრცელებულია სტაფილოს ნამცხრები, კექსები და ცუკატები. ეს დესერტები იწარმოება საქართველოში. ასე მაგალითად, შპს „ჩირიფრუტმა“ 2016 წელს დაიწყო შოკოლადში ამოვლებული სტაფილოს ცუკატების წარმოება. |
| **კოსმეტიკური საშუალებები** | კანის მოვლის საშულებები (ზეთები, გელები, კრემები, ლოსიონები). არ იწარმოება საქართველოში. |

სტაფილო გაყინული სახითაც იყიდება და ყინულში სტაფილოს შენახვა შესაძლებელია სხვა-დასხვა ვადით შენახვის ტემპერატურიდან გამომდინარე. მაგალითად ერთ-ერთი პოლონური კომპანია სთავაზობს თავის მომხმარებელს სტაფილოს ყინულში, რომელიც ინახება 6 გრადუს ყინვაზე 4 დღე, 12 გრადუს ყინვაზე – 1 თვე და ა.შ. [10]

[10] „Polish Fields Gifts“ ამოღებულია: http://www.zpow.com.pl/en/oferta/cut_and_packed_frozen_food/green_peas_and_carrots.html , 2018

# 4. სტაფილოს ღირებულებათა ჯაჭვი სამცხე-ჯავახეთში

## 4.1 ჯაჭვის მონაწილეები

სტაფილოს ღირებულებათა ჯაჭვი მრავალი ტიპის მონაწილისგან შედგება. ესენია ნედლეულის მომწოდებლები (აგრო მაღაზიები), სტაფილოს მწარმოებელი ინდივიდუალური ფერმერები და კოოპერატივები, შუამავლები, სავაჭრო ობიექტები, გადამამუშავებლები და ჯაჭვის ბოლო რგოლი მომხმარებელი.

ჯაჭვის მონაწილეებს ერთმანეთთან უმეტესად არაფორმალური კავშირი აქვთ, საკონტაქტო ურთიერთობის პრაქტიკა ძალზე სუსტად არის განვითარებული და მის მიმართ ინტერესიც რესპონდენტებზე დაყრდნობით, დაბალია.

**ცხრილი 7. ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები**

| მონაწილე | დახასიათება |
|---|---|
| **აგრო მაღაზიები** | აგრო მაღაზიები საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი რეგიონში და აქედან გამომდინარე ნედლეული ხელმისაწვდომია ადგილობრივად. აგრო მაღაზიები კონსულტაციას უწევენ ფერმერებს. |
| **ინდივიდუალური ფერმერები** | ინდივიდუალური ფერმერები ჯაჭვში ყველაზე მსხვილ რგოლს წარმოადგენენ, ვინაიდან სტაფილოს აბსოლუტური უმეტესობა სწორედ მათ მიერ იწარმოება. ფერმერებში გამოიყოფა მსხვილი და წვრილი ფერმერები. უკანასკნელებისთვის სტაფილო როგორც წესი ძირითად პროდუქტს არ წარმოადგენს და დათესილი აქვთ მცირე ფართობებზე (0.5 ჰა-მდე). ბევრმა მცირე ფერმერმა აღნიშნა, რომ სტაფილო მოჰყავს დიდი ხნის განმავლობაში (15-20 წელი), თუმცა პროდუქტიულობა არც ისე მაღალია (10-15 ტ/ჰა).<br><br>რაც შეეხება მსხვილ ფერმერებს, მათთვისაც სტაფილო ძირითად კულტურას არ წარმოადგენს, თუმცა პროდუქტიულობაში საკმაოდ დიდი განსხვავებაა (20-25 ტ/ჰა). აღსანიშნავია, რომ არც წვრილ და არც მსხვილ ფერმერებს არ აქვთ საკონტრაქტო ურთიერთობები მყიდველთან. |
| **კოოპერატივები** | რესპოდენტებზე დაყრდნობით რეგიონში დაახლოებით ათი კოოპერატივია. მათ შორის არიან სტაფილოს მსხვილი მწარმოებლებიც. კოოპერატივები როგორც წესი დივერსიფიცირებულია და მათთვისაც როგორც წესი, სტაფილო არ არის ძირითადი კულტურა. თუმცა პროდუქტიულობა საკმაოდ მაღალი აქვთ (60-80 ტ/ჰა). |
| **შუამავლები (გადამყიდველები)** | შუამავლები წარმოადგენენ ძირითად მყიდველს ფერმერისთვის (ინდივიდუალურისთვისაც და კოოპერატივისთვისაც). ფერმერთა უმეტესობა სწორედ შუამავლებზე ყიდის თავის ნაწარმს, თუმცა ნაწილი პირადადაც ახდენს სტაფილოს გასაღებას აგრარულ ბაზრებში ახალციხესა და ახალქალაქში. ფერმერებზე დაყრდნობით, გადამყიდველი (შუამავალი) ბევრია და მათი უმეტესობა არის სამცხე-ჯავახეთიდან (ადგილობრივები), თუმცა გადამყიდველები ასევე ჩამოდიან ხაშურიდან, ქუთაისიდან და ბათუმიდან. შუამავლები თავად მიდიან ფერმერთან თავისივე ტრანსპორტით და იძენენ სტაფილოს ნაღდი ანგარიშსწორებით, პროდუქციის შეძენის დღესვე. |
| **ექსპორტიორები** | ვინაიდან სტაფილო მცირე რაოდენობით გადის ექსპორტზე, ჯაჭვის ეს რგოლი არსებობს, თუმცა კვლევის დროს არც ერთი ექსპორტიორი არ დაფიქსირებულა რეგიონში, რაც შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ სტაფილოს ექსპორტი სხვა რეგიონიდან ხდება (მაგ. ქვემო ქართლიდან). |

| | |
|---|---|
| **აგრარული ბაზრები** | რეგიონის ადგილობრივ აგრარულ ბაზრებში როგორც წესი თავად ფერმერები ყიდიან თავის ნაწარმს, თუმცა სხვა ქალაქის აგრარული ბაზრები მარაგდება შუამავლების მიერ. |
| **სუპერმარკეტები** | სუპერმარკეტებში სტაფილო შუამავლების გავლით ხვდება, ვინაიდან ამ ეტაპზე ფერმერისთვის სუპერმარკეტთან ურთიერთობა არამომგებიანია და ასოცირდება დამატებით დანახარჯებთან, როგორ დროის კუთხით, ასევე ფინანსურად, რადგან სუპერმარკეტების მსხვილი ქსელები როგორც წესი ითხოვენ პროდუქტის ადგილზე მოტანას და თანხის გადახდაც ფერმერისთვის უფრო გვიან ხდება, ვიდრე შუამავალზე გაყიდვის შემთხვევაში. |
| **გადამამუშავებელი** | სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გადამამუშავებელი არ არსებობს, თუმცა არსებობს სხვა რეგიონებში (საკონსერვო ქარხნები „მარნეული აგრო“ ქვემო ქართლში და „კულა“ შიდა ქართლში). ვინაიდან საქართველოში სტაფილო ძალიან მცირე რაოდენობით მოჰყავთ, ამ ქარხნების მომარაგება არა მხოლოდ ქვემო ქართლიდან, არამედ შუამავლების მეშვეობით სამცხე-ჯავახეთიდანაც ხდება. |
| **იმპორტიორი** | იმპორტიორები წარმოადგენენ ჯაჭვის უმნიშვნელოვანეს რგოლს, ვინაიდან საქართველოში მოხმარებული სტაფილოს უმეტესობა, იმპორტულია. რესპოდენტების უმეტესობამ აღნიშნა, რომ რეგიონში ძირითადად თურქული სტაფილო შემოდის და კონკურენციას უწევს ადგილობრივს ან ანაცვლებს მას, როდესაც ადგილობრივი სტაფილო მთავრდება. სტაფილოს იმპორტი ყველაზე დიდი რაოდენობით ხდება დეკემბერი-აპრილში, როდესად ქართული სტაფილო ჯერ არ არის შემოსული ბაზარზე. |
| **მომხმარებელი** | სტაფილოზე მოთხოვნა მაღალია ადგილობრივადაც და უცხოეთშიც. აქედან გამომდინარე სტაფილოს მწარმოებლებს ამ ეტაპზე თავისი ნაწარმის გასაღების პრობლემა არ აქვთ. ქართული სტაფილო ძირითადად ადგილობრივად მოიხმარება და ძალიან მცირე რაოდენობით გადის ექსპორტზე. |

ზემოთმოყვანილ ცხრილში აღწერილია ჯაჭვის ძირითადი მონაწილეები, თუმცა მათი საქმიანობისთვის ასევე მნიშვნელოვანია ჯაჭვზე მოქმედი გარე ფაქტორები. სახელმწიფო უწყებები, რომელიც წარმოდგენილია რეგიონში ექსტენციის ცენტრების სახით უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების შესწავლასა და ფერმერთა ცნობიერების ამაღლებაში. ისინი აწვდიან ფერმერებს ინფორმაციას სექტორში მოქმედი სახელმწიფო პროგრამების შესახებ, აგროვებენ ინფომრაციას რეგიონის სოფლის მეურნეობის შესახებ და ა.შ. ექსტენციის ცენტრები სამინისტროსა და ფერმერს შორის მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლია. რაც შეეხება, სურსათის უვნებლობის სტანდარტებს, მეწარმეები უმეტესობა მიჰყვება ტრადიციულ მეთოდებს, რომელიც ძველი დროიდან შემორჩათ და არა რომელიმე სტანდარტს. მწარმოებლებს არ აქვთ ხარისხის სერტიფიკატები და არ არც გეგმავენ მათ აღებას ახლო მომავალში.

არასამთავრობო ორგანიზაციები მრავლად არიან წარმოდგენილი რეგიონში და მათგან რამდენიმე მუშაობს სოფლის მეურნეობის დარგში. რესპოდენტების უმეტესობამ აღნიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები არის ფინანსური სახსრების მოძიების ალტერნატიული წყარო.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარე ფაქტორს წარმოადგენენ ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები**,** რომელიც ასევე მრავლად არიან წარმოდგენილი რეგიონში.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე რესპოდენტმა აღნიშნა, რომ დაზღვეული აქვს თავისი მოსავალი, რაც მისასალმებელია, ვინაიდან აგროდაზღვევა ბოლო რამდენიმე წელიწადია აქტიურად ინერგება და აუცილებელია რისკების ეფექტური მართვისთვის. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის თანახმად, სტაფილოს დაზღვევაზე ვრცელდება შემდეგი პირობები:

### ცხრილი 8. აგროდაზღვევის პირობები სტაფილოსთვის

| სააგენტოს თანამონაწილეობა | დამზღვევის თანამონაწილეობა | სადაზღვევო ტარიფი | ნორმატიული ფასი ლ/ჰა | ნორმატიული ფასი ლ/კგ | ნორმატიული მოსავლიანობა კგ/ჰა |
|---|---|---|---|---|---|
| 70% | 30% | 8.5% | 16250 | 0.65 | 25000 |

*წყარო: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტო, 2018*[11]

რაც შეეხება **სექტორულ ასოციაციებს,** სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არ არსებობს სტაფილოს მწარმოებელთა ასოციაცია ან თუნდაც ზოგადად მებოსტნეთა ასოციაცია, რაც ხელს შეუწყობდა ამ კულტურის მოვლა-მოყვანის უფრო დიდი მასშტაბით გავრცელებას როგორც რეგიონში, ასევე მთლიანად საქართველოში.

რაც შეეხება **სატრანსპორტო კომპანიებს,** სტაფილოს შემთხვევაში, ისინი იმპორტის კუთხით უფრო აქტიურად მუშაობენ ვიდრე ექსპორტის კუთხით. შიდა ლოჯისტიკა რეგიონში კი ძირითადად შუამავლების ან თავად მწარმოებელთა ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ხდება (ძირითადად ფორდებით).

სტაფილოს ტრანსპორტირებისას, ისევე როგორც ნებისმიერი ბოსტნეულის ტრანსპორტირებისას, აუცილებელია სპეციალური ტემპერატურული რეჟიმის დაცვა. ამისათვის საჭიროა სპეციალური მანქანა-მაცივრების გამოყენება, რომელთა დაქირავებაც როგორც წესი 20%-40%-ით მეტი ღირს, ვიდრე არა მანქანა-მაცივარი.

გარდა ამისა, სტაფილოს ექსპორტის დროს საჭიროა შემდეგი საბუთები:

- ფიტოსანიტარული სერტიფიკატი

სერტიფიკატი გაიცემა ფიტოსანიტარიული პროცედურების განხორციელების საფუძველზე. ეს პროცედურები მოიცავს საქონლის თანმხლები დოკუმენტების შემოწმებას; ინფორმაციის მოძიებას საქონლის წარმოების ადგილზე ადრე ჩატარებული შემოწმებების შესახებ და საქონლის ვიზუალურ შემოწმებას. ეჭვის შემთხვევაში ნიმუშების აღებას ანალიზისათვის (სერტიფიკატი გაიცემა ანალიზის უარყოფითი პასუხის შემთხვევაში). უფლებამოსილი პირის მიერ ფიტოსანიტარიული პროცედურები ტარდება ტვირთის მდებარეობის ადგილზე და სერტიფიკატს გასცემს სურსათის ეროვნული სააგენტო ან შემოსავლების სამსახური. მომსახურების საფასური არის 25 ლარი.

გარდა ფიტოსანიტარული სერტიფიკატისა, ასევე საჭიროა:

- სასაქაონლო ზედნადები[12]
- შეფუთვის ფურცელი (Packing List)[13]
- სატრანსპორტო ზედნადები (CMR)[14]

აღსანიშნავია ისიც რომ ქართველ მწარმოებლებს აქვთ სტაფილოს მეზობელ ქვეყნებში ტრანსპორტირების გამოცდილება, თუმცა არ აქვთ ევროპაში ტრანსპორტირების გამოცდილება. ამ

[11] http://apma.ge/projects/read/agroinsurance/17:child

[12] საგანკარგულებო დოკუმენტი, რომელსაც აქვს იურიდიული და ფინანსური დანიშნულება. იგი დგება ყოველ სატრანსპორტო გზავნილზე გაგზავნისა და დანიშნულების პუნქტების ჩვენებით.

[13] წარმოადგენს ტრანსპორტირებული ტვირთის ჩამონათვალს რაოდენობის, ზომის, წონისა და შეფუთვის მეთოდების მითითებით. შეფუთვის სია არასავალდებულო დოკუმენტია, მაგრამ იგი მნიშვნელოვნად ამცირებს საბაჟო პროცედურების დროს.

[14] სატრანსპორტო დოკუმენტი, რომელიც საჭიროა ავტოტრანსპორტით (მატარებლის გარდა) საერთაშორისო გადაზიდვის დროს, სადაც განსაზღვრულია გამგზავნის, გადამზიდისა და მიმღების ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, ტვირთის აღწერა (შეფუთვა, წონა, ზომა და ა.შ), გადასახადები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ინსტრუქცია საბაჟოსთვის (მაგ. საშიში ნივთიერებების გადაზიდვისას), გადამზიდის პასუხისმგებლობა.

უკანასკნელის შემთხვევაში კი გასათვალისწინებელია ის, რომ ევროპაში ტრანსპორტირების პროცესი განსხვავდება აზიაში ტრანსპორტირებისგან გზებზე ტარიფიკაციით, სატვირთო მანქანების მოძრაობის დაშვებით (ევროპაში ზოგ ქვეყანაში არის სპეციალური დროის მონაკვეთები, როდესაც მანქანას არ შეუძლია მოძრაობა), გზების ხარისხით (რაც აისახება სატრანზიტო დროზე და მანქანის საწვავის ხარჯზე), პროცედურებისა და გადასახდელების გამჭვირვალობით, გზებისა და  საბაჟო საზღვრების გამტარუნარიანობით.

ამ ეტაპზე რეგიონში სატრანსპორტო კომპანიები არ არის.

ტრანსპორტირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ტვირთის დაზღვევა, რომელიც აუცილებელია პოტენციური ფინანსური დანაკარგების თავიდან ასაცილებლად. აღსანიშნავია, რომ დაზღვევის პირობები განსხვავდება ტვირთის ტიპის, სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების, სადაზღვევო კომპანიების პოლიტიკისა და ქვეყნების მიხედვით.

და ბოლოს რეგიონში ფუნქციონირებს საკმაოდ ბევრი **საგანმანათლებლო დაწესებულება** და მათ შორის ადგილობრივი კოლეჯები, სადაც დარგობრივი სპეციალეისტების მომზადება ხდება, რაც მომავალში ხელს შეუწყობს სექტორში არსებული კადრების დეფიციტის პრობლემის აღმოფხვრას.

### ნახაზი 1. სტაფილოს ღირებულებათა ჯაჭვი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში



აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი ჯაჭვი აღწერს სამცხე-ჯავახეთის რეგიონს, შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი გადამუშავების რგოლი, თუმცა ეს ნაწილი საქართველოსთვის რელევანტურია.

## 4.2 ჯაჭვში მიმდინარე პროცესები

სტაფილოს მოვლა-მოყვანის პროცესი მოიცავს ნიადაგის შერჩევას და დამუშავებას, თესვას, მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და სასუქების გამოყენებას, გამარგვლას, მორწყვას, მოსავლის აღებას და მის რეალიზაციას.

**ნახაზი 2. ჯაჭვის ძირითადი პროცესები**




### ნიადაგის შერჩევა და დამუშავება

სტაფილოს მოვლა-მოყვანაში პირველი აქტივობა გულისხმობს ნიადაგის წინასწარ შერჩევას და მის დამუშავებას, რაც ხდება ოქტობერ-ნოემბერში. ოქტომბერში ნიადაგის დამუშავებას იწყებენ საადრეო ჯიშების თესვის შემთხვევაში, ფერმერთა უმეტესობა კი სტანდარტულად ნოემბერში ამუშავებს მიწას.

წინამორბედი კულტურების აღებისთანავე აწარმოებენ ნიადაგის დამუშავებას. შემოდგომაზე მიმდინარეობს სასუქის შეტანა და შემდეგ უკვე ღრმა ხვნა. ადრე გაზაფხულზე ნიადაგს ფარცხავენ და ატარებენ კულტივაციას, ამავე დროს შეაქვთ აზოტოვანი სასუქები.[15]

### თესვა და მოვლა

თესვა ძირითადად ხდება აპრილში, თუმცა რესპოდენტების მცირე ნაწილმა აღნიშნა, რომ მარტში თესავს სტაფილოს.

სტაფილოს თესავენ 2-3 სმ. სიღრმეზე, რიგებს შორის 18-20 სმ., ხოლო რიგებში მცენარეთა შორის 4-6 სმ., ჰექტარზე ჯიშებიდან გამომდინარე ითესება 3 დან 5-6 კგ-მდე.

სტაფილო მოითხოვს განსაკუთრებულ მოვლას: გამარგვლა-გამეჩხერება, რიგთაშორისების გაფხვიერება, რწყვა. ჰერბიციდების გამოყენება მნიშვნელოვნად აიოლებს მოვლის პროცესს. გარდა

[15] სტაფილოს მოვლა-მოყვანა, აგრონიუს.ჯი, 2018, ამოღებულია: http://agronews.ge/staphilos-movla-moqhvana/

ამისა საჭიროა ნიადაგზე წარმოქმნილი ქერქების ფოცხით დაშლა და ნათესის რამდეჯერმე გამეჩხერება. პნევმატური (ვაკუუმური) სათესის გამოყენების შემთხვევაში მცენარეთა გამოხშირვის ოპერაციის ჩატარება საჭირო აღარ არის, რაც შრომით დანახარჯებს მნიშვნელოვნად ამცირებს[16].

## მოსავლის აღება

სამცხე-ჯავახეთში მოსავლის აღება ძირითადად სექტემბერში ხდება, თუმცა თესლის ჯიშიდან გამომდინარე (თუ საადრეოა) შესაძლებელია მოსავლის აღება  მაისი-აგვისტოს განმავლობაში.

რეკომენდირებულია, რომ მოსავლის აღება დამთავრდეს ხანგრძლივი საშემოდგომო წვიმების და წაყინვების დაწყებამდე. მოსავლის აღება უნდა მოხდეს მშრალ ამინდში. ამოღება უნდა ხდებოდეს სპეციალური მანქანის მეშვეობით, თუმცა რეგიონში ასეთი მანქანა არ არის და ამიტომ მოსავლის აღების დროს ხდება სამუშაო ძალის მასიურად დაქირავება და შესაბამისად სამუშაო ძალაზე დანახარჯიც მაღალია.

## გასაღება

გასაღება ძირითადად ხდება სხვა რეგიონებში შუამავლების მეშვეობით, რომლებიც ჩამოდიან ბათუმიდან, ქუთაისიდან, ხაშურიდან, თბილისიდან. რეალიზაცია ხდება საბითუმო ფასებში დიდი პარტიებით. სტაფილოს ყველაზე დიდი რაოდენობით რეალიზაცია სწორედ სექტემბერში ხდება, ხოლო მცირე რაოდენობა აგვისტოშიც იყიდება ადგილობრივად რეგიონის აგრარულ ბაზრებში.

ზემოთმოყვანილი პროცესები თავისი აგრო ვადებით შეჯამებულია მე-8 ცხრილში.

### ცხრილი 9. სტაფილოს მოვლა-მოყვანის აგრო კალენდარი

| # | ღონისძიება | იან | თებ | მარტ | აპრ | მაისი | ივნ | ივლ | აგვ | სექ | ოქტ | მოემბ | დეკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნიადაგის დამუშავება (განოყიერება, გადაბარვა) | | | | | | | | | | | | |
| 2 | თესვა | | | | | | | | | | | | |
| 3 | შეწამლვა, ბალახის გასუფთავება, მორწყვა | | | | | | | | | | | | |
| 4 | გამარგვლა, სასუქის შემოყრა | | | | | | | | | | | | |
| 5 | მოსავლის აღება | | | | | | | | | | | | |
| 6 | მოსავლის რეალიზაცია | | | | | | | | | | | | |

[16] სტაფილოს მოვლა-მოყვანა, აგრონიუს.ჯი, 2018, ამოღებულია: http://agronews.ge/staphilos-movla-moqhvana/

## 4.3 ხარჯებისა და ნამატების ანალიზი ფერმერისთვის

ხარჯებისა და ნამატების ანალიზი ფერმერისთვის აჩვენებს, რომ სტაფილოს მოყვანა არის მომგებიანი. საშუალო დანახარჯი 1 ჰა არის 8015 ლარი, ხოლო შემოსავალი გაყიდვებიდან საშუალო ფასის პირობებში შეადგენს 14625 ლ/ჰა, ვინაიდან შემოსავალი გაყიდვებიდან აღემატება დანახრჯებს, სტაფილოს წარმოება კომერციული მიზნით, მომგებიანია.

**ცხრილი 10. ხარჯებისა და ნამატების ანალიზი ფერმერისთვის**

| დანახარჯი | მნიშვნელობა |
|---|---|
| სათესლე მასალა (ლ/ჰა) | 400 |
| მიწის დამუშავება (ლ/ჰა) | 700 |
| სასუქები და მცენარეთა დაცვის საშუალებები (ლ/ჰა) | 150 |
| სამუშაო ძალა (ლ/ჰა) | 4250 |
| გადასახადები (წყალი, მიწა)(ლ/ჰა) | 150 |
| მორწყვა (მიშვებით) (ლ/ჰა) | 500 |
| ტრანსპორტირება (ლ/ჰა) | 1000 |
| აგროდაზღვევა (ლ/ჰა) | 415 |
| **სულ დანახარჯი (ლ/ჰა)** | **7565** |

თუ საშუალო მოსავალი შეადგენს 25000კგ/ჰა, საიდანაც საშუალოდ 10% იკარგება მოყვანისას, შენახვისას, ტრანსპორტირებისას და გაყიდვისას, 0.65 ლ/კგ ფასის პირობებში, შემოსავალი გაყიდვებიდან შეადგენს 14625 ლ/კგ.[17] ცხრილში მოცემულ ხარჯებზე დაყრდნობით, მოგება შეადგენს 6610 ლ/ჰა. მოგების მარჟა აბსოლუტური მნიშვნელობით შეადგენს 0.29 ლ/კგ, ხოლო პროცენტულად – 45%-ს. თვითღირებულება კი 0.36 ლ/კგ.

აღსანიშნავია ისიც, რომ სტაფილოს წარმოება მომგებიანია მინიმალური გასაყიდი ფასის (0.45 ლ/კგ) პირობებშიც კი. ამ შემთხვევაში მოგების მარჟა აბსოლუტური მნიშვნელობით შეადგენს 0.09 ლ/კგ, ხოლო პროცენტულად – 21%-ს.

## 4.4 ღირებულების „Flow chart"

ქვემოთ წარმოდგენილია დამატებითი ღირებულება ჯაჭვის თითოეულ რგოლზე, საიდანაც ჩანს თუ ბაზრის რომელი მონაწილე ამატებს ყველაზე დიდ ღირებულებას ჯაჭვში.

**ნახაზი 3. დამატებითი ღირებულება ჯაჭვის თითოეულ რგოლში**

*შენიშვნა: თვითღირებულება შეადგენს 0.36 ლ/კგ და ნახაზზე წარმოდგენილია შეუფუთავი სტაფილოს ფასები.*

[17] დანაკარგების გათვალისწინებით, გაყიდვებიდან შემოსავლის დათვლისას გამოიყენება 22500 კგ/ჰა.

# 5. ღირებულებათა ჯაჭვის დაფინანსების ანალიზი

## 5.1 დაფინანსების საშუალებების მიმოხილვა

პროდუქტის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ თავში მიმოხილულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვის დაფინანსების საშუალებები და ბარიერები. ყურადღება გამახვილებულია სტაფილოს კულტურასა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონზე.

ზოგადად, დაფინანსების მთავარ წყაროს კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები წარმოადგენენ. აღნიშნული ორგანიზაციები ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს სთავაზობენ როგორც სესხებს, ასევე სხვადასხვა საბანკო მომსახურებას, მიმდინარე ანგარიშების და დეპოზიტების გახსნას.

ფინანსური ინსტიტუტების ინფორმაციით, სესხის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას ისინი ძირითადად ხელმძღვანელობენ მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე, საპროგნოზო შემოსავლებზე, მათ მიმდინარე ვალდებულებებსა და სესხის მომსახურების დაფარვის ხარისხზე ინფორმაციით. მათივე ინფორმაციით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, თუმცა არა გადამწყვეტი, კომპონენტია სესხის უზრუნველყოფა. სესხის უზრუნველყოფა ძირითადად ხდება უძრავი ქონებით, როგორიცაა სახლი ან მიწა (საძოვარი, ვენახი). თუმცა, აღნიშნავენ, რომ უზრუნველყოფისათვის მხოლოდ მიწა არ არის საკმარისი მისი დაბალი ღირებულებიდან გამომდინარე.

დაფინანსების მოძიების კიდევ ერთი გზაა სოფლის მეურნეობის სფეროს წახალისების მიზნით შექმნილი სახელმწიფო პროგრამები. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2012 წელს დაარსდა ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA)[18], რომელიც ექვემდებარება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ახორციელებს და მართავს აღნიშნული სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს. პროგრამების ფარგლებში სააგენტო აფინანსებს სოფლის მეურნეობაში ჩართულ ყველა ძირითად რგოლს, საქართველოს ყველა რეგიონში. ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტების ფარგლებში მოხდა ბენეფიციარების დაფინანსება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

### დანერგე მომავალი[19]

პროგრამა მიზნად ისახავს არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტურ გამოყენებას და ადგილობრივი სარგავი მასალების წარმოების მხარდაჭერას, რაც ჩაანაცვლებს იმპორტს და გაზრდის ექსპორტის პოტენციალს.

პროგრამას აქვს ორი კომპონენტი:

- მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი – ფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულება (არაუმეტეს 70%) და წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა (50%).

[18] Agricultural Projects Management Agency

[19] http://apma.ge/projects/read/agricultural_industry/16:parent

- სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტი – ხდება განსაზღვრული დასაფინანსებელი ღირებულების არაუმეტეს 50%-ის თანადაფინანსება, ჯამურად არაუმეტეს 150 000 ლარი.

ორივე კომპონენტის შემთხვევაში ბენეფიციარებს ასევე უტარდებათ მოვლისათვის აუცილებელი ცოდნის შესაძენი ტრენინგები.

აღსანიშნავია, რომ პროექტის დაწყებიდან (2015 წლიდან) რეგიონში არსებულმა ბენეფიციარებმა, მხოლოდ მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტით ისარგებლეს. სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტით რეგიონში არცერთ ბენეფიციარს არ უსარგებლია.

ასევე აღსანიშნავია, რომ სხვა რეგიონებთან შედარებით საკმაოდ მცირე რაოდენობით არის დაფინანსებული სამცხე-ჯავახეთის რაიონი. ამ მხრივ წამყვანი რეგიონები არიან სამეგრელო, ქვემო და შიდა ქართლი.

**ცხრილი 11. პროგრამა „დანერგე მომავალი"-ს შედეგები 2015-2017**

| | ბენეფიციარების რაოდენობა | ფართობი (ჰა) | სააგენტოს თანადაფინასნება (₾) |
|---|---|---|---|
| 2015 | 1 | 1 | 10,420 |
| 2016 | 2 | 7 | 33,568 |
| 2017 | 3 | 12 | 64,478 |
| **სულ** | **6** | **20** | **108,466** |

*წყარო: სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2018*

## აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა[20]

პროგრამა ხორციელდება „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტის" (AMMAR) ფარგლებში და ფინანსდება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) და გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) მიერ.

პროგრამის მიზანია პროდუქციის ხარისხის და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობა (პირველადი წარმოების კომპონენტი) და გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა (გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების კომპონენტი). შესაბამისად, პროგრამა მოიცავს ორ კომპონენტს:

1. პირველად წარმოებას
2. გადამამუშავებელ და შემნახველ წარმოებას

პროგრამა ხორციელდება 2016 წლიდან. სამცხე-ჯავახეთი რეგიონში ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია მხოლოდ 1 პროექტი – 2017 წელს, 13480 ლარით.

[20] http://apma.ge/projects/read/agricultural_industry/16:parent

## შეღავათიანი აგროკრედიტი[21]

პროექტის მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესებისათვის ხელშეწყობა ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით.

პროექტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულების საწარმოები კომერციული ბანკებისგან და სხვა საფინანსო ინსტიტუტებისგან იღებენ შეღავათიან აგროკრედიტს/აგროლიზინგს ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის. ამისათვის ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ წინასწარ განსაზღვრულ პირობებს.

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის – თანადაფინანსება გარკვეულ პროცენტზე;
2. შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის – თანადაფინანსება სესხზე და მისი მეორადი უზრუნველყოფა (სახელმწიფო აანაზრაურებს სრულ თანხას თუ ბენეფიციარი ვერ შეძლებს გადახდას);
3. შეღავათიანი აგროლიზინგი – სალიზინგო საზღაურის ნაწილის თანადაფინანსება;
4. **სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“**[22] – პროგრამას ახორციელებენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სოფლის მეურნეობის მიმართულებით ეს პროგრამა ითვალისწინებს ახალი საწარმოების შექმნას ან არსებულის გაფართოებას, რომლებიც დააკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტებს. ხდება როგორც სესხის თანადაფინანსება, ასევე შეღავათიანი პერიოდის დაწესება (გარკვეული პერიოდი, როდესაც საწარმო არ იხდის პერიოდულ გადასახადს).

ჩამოთვილი ოთხივე კომპონენტი აფინანსებს როგორც პირველად, ასევე გადამამუშავებელ საწარმოებს. ლიზინგის შემთხვევაში, ხდება იმ კომპანიების დაფინანსებაც, რომლებიც ახდენენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაფუთი მასალების წარმოებას. „აწარმოე საქართველოში“ ასევე აფინანსებს ინფრასტრუქტურულ საწარმოებსაც, როგორებიცაა მარცვლეულის საშრობები, საწყობები და სამაცივრე მეურნეობები.

### ცხრილი 12. პროგრამა „შეღავათიანი აგრო კრედიტი“-ს შედეგები 2013-2017

| | ბენეფიციარების რაოდენობა | გაცემული თანხა (₾) | ბენეფიციარების რაოდენობა | გაცემული თანხა ($) |
|---|---|---|---|---|
| 2013 | 257 | 3,483,300 | 13 | 1,106,000 |
| 2014 | 1,018 | 17,130,800 | 25 | 1,989,100 |
| 2015 | 156 | 6,388,500 | 13 | 1,175,190 |
| 2016 | 68 | 2,888,200 | 26 | 794,079 |
| 2017 | 138 | 6,998,377 | 1 | 348,761 |
| **სულ** | **1,637** | **36,889,177** | **78** | **5,413,130** |

*წყარო: სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2018*

[21] http://apma.ge/projects/read/agro_credit/5:parent

[22] http://apma.ge/projects/read/produce_in_georgia/; http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka

2017 წელს, ვალუტის მიხედვით გაცემული თანხების შეცვლილი სტრუქტურა, თანხის გაზრდილი მოცულობა ლარში და შემცირებული დოლარში, შესაძლოა, აიხსნას ეროვნული ბანკის ლარიზაციის პოლიტიკით[23].

## გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი[24]

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სოფლის მეუნეობის სექტორში შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნასა და გაფართოებას. პროგრამის ფარგლებში, შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება, სამი გზით არის შესაძლებელი – სააგენტოს თანადაფინანსებით, შეღავათიანი კრედიტით/ლიზინგით ან ბენეფიციარის საკუთარი თანამონაწილეობით.

პროგრამა ხორციელდება 2014 წლიდან, თუმცა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დაფინანსებულია მხოლოდ ორი პროექტი – 2016 და 2017 წელს, 130,600 და 250,000 ლარით.

არსებობს ისეთი სახელმწიფო პროგრამებიც, რომლებიც არ გულისხმობს პირდაპირ დაფინანსებას, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა ხელი შეუწყოს ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს დაფინანების მოპოვებაში:

## აგროდაზღვევა[25]

პროგრამა მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის სექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს მეურნეობებისთვის შემოსავლის შენარჩუნებას და რისკების შემცირებას.

პროგრამის განხორციელების მიზნით, APMA-ს აქვს ხელშეკრულება ლიცენზირებულ სადაზღვევო კომპანიებთან, რომლის საფუძველზეც ახდენს მეურნეობების სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას და მათ მონიტორინგს.

პროგრამის ფარგლებში ხდება სეტყვით, წყალდიდობით, ქარიშხლით ან ყინვით დაზიანებადი კულტურების დაზღვევა. დამზღვევი ფინანსდება 70%-ით ყველა კულტურაზე, გარდა ვაზისა (50% თანადაფინანსება). შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე კულტურის დაზღვევაც.

**ცხრილი 13. პროგრამა „აგროდაზღვევა“-ს შედეგები 2014-2017**

| | პოლისის რ-ბა | სადაზღვევო ლიმიტი, ₾ | სადაზღვევო პრემია, ₾ | სააგენტოს მიერ გადახდილი პრემიის წილი, ₾ | დამზღვევის მიერ გადახდილი პრემიის წილი, ₾ | ფართობი, ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2015 | 535 | 8,499,532 | 719,230 | 431,483 | 287,747 | 688 |
| 2016 | 1,099 | 16,208,723 | 1,517,245 | 1,069,083 | 448,162 | 1,371 |
| 2017 | 1,242 | 13,221,623 | 1,096,909 | 767,777 | 329,133 | 1,761 |

*წყარო: სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2018*

[23] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3030

[24] http://apma.ge/projects/read/grant/6:parent

[25] http://apma.ge/projects/read/agroinsurance/4:parent

პროგრამა ხორციელდება 2014 წლიდან, თუმცა სამცხე-ჯავახეთში ბენეფიციარებმა პროგრამით სარგებლობა დაიწყეს 2015 წელს. დაზღვევის პოლისიების რაოდენობა ზრდის ტრენდით ხასიათდება.

### ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი[26]

პროექტი ითვალისწინებს ფერმათა/ფერმერთა ერთიანი რეესტრის სისტემის შექმნას, რომლის საშუალებითაც სასოფლო-სამეურნეო აქტივების და მათი მესაკუთრეების შესახებ კონსოლიდირებული ინფორმაცია განთავსდება ერთიან ელექტრონულ სივრცეში.

პროექტის ფარგლებში, 2018 წლის ბოლომდე უნდა მოხდეს 100,000-მდე ფერმის რეგისტრაცია, ხოლო გრძელვადიანად, ბაზაში აისახება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული ყველა პირი. ბაზის შექმნის შემდგომ, პერიოდულად მოხდება ინფორმაციების მოძიება და განახლება. პროექტი ხელს შეუწყობს რეგიონებში ღირებულებათა ჯაჭვების განვითარებას, რადგან გაამარტივებს ჯაჭვის მონაწილეების იდენტიფიცირებას და გააუმჯობესებს მონაცემების სანდოობას.

## 5.2 ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეების ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და ბარიერები

სტაფილოს ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეთა გამოკითხვაზე დაყრდნობით, ისინი დაფინანსების მოსაპოვებლად ძირითადად მიმართავენ ბანკებს, თუმცა იმის გამო, რომ მათ არ აქვთ სტაბილური ყოველთვიური შემოსავალი, მათ უწესდებათ მაღალი საპროცენტო განაკვეთი, ხოლო ზოგ შემთხვევაში ბანკი უარს ამბობს სესხზე. თუმცა რიგმა ფერმერებმა მოახერხეს სესხის მიღება.

სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, რეგიონში არაერთი ბენეფიციარი დაფინანსდა. სტაფილოს ღირებულებათა ჯაჭვში ჩართულ, გამოკითხული ფერმერებისა და ღირებულებათა ჯაჭვის სხვა მონაწილეების ნაწილის თქმით, მათ აქვთ ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამების თაობაზე – ძირითადად იციან „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის შესახებ, უცდიათ და მოუპოვებიათ დაფინანსება ამ პროგრამაში და ასევე შეღავათიანი აგროკრედიტიც.

სახელმწიფო პროგრამებისა და ფინანსური ინსტიტუტების დახმარებით სტაფილოს ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს აქვთ საშუალება ჩაერთონ ღირებულებათა ჯაჭვში და განავითარონ იგი. თუმცა, არსებობს გარკვეული ბარიერები, რაც ხელს უშლის მათ ფინანსებზე ხელმისაწვდომობას.

რაც შეეხება მიწოდების მხარეს, ბანკებისათვის სესხის უზრუნველყოფა და შემოსავლების დადასტურება წარმოადგენს მთავარ ფაქტორს, რის გამოც უარს ეუბნებიან სესხების მსურველებს. სოფლის მეურნეობის დარგში შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვიანობა პრობლემას წარმოადგენს, რაც ართულებს შემოსავლების დადასტურებას და შესაბამისად სესხის გაცემას. ფინანსური ინსტიტუტებს აქვთ წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმები, რითიც ხდება გასაცემი სესხების რისკიანობის შეფასება, ხოლო მის საფუძველზეც გაიანგარიშება სესხის პროცენ-

[26] http://apma.ge/projects/read/farms-farmers_registration_project/

ტი. ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საპროცენტო განაკვეთები დარგში არსებული რისკების ადეკვატურია.

ზოგიერთი სახელწიფო პროგრამა, მაგ. შეღავათიანი აგროკრედიტი გულისხმობს ღირებულებათა ჯაჭვის წარმომადგენლების მიერ სესხის აღებას, რომლიც პროცენტის სუბსიდირებასაც ახდენს სააგენტო. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ APMA-ს ზოგიერთი პროგრამის შემთხვევაში (დანერგე მომავალი და შემნახველი საწარმოების პროგრამა) სააგენტოს წინასწარ აქვს განსაზღვრული იმ დოკუმენტების და ინფორმაციის ნუსხა, რაც უნდა შეავსოს და წარმოადგინოს პოტენციურმა ბენეფიციარმა. შესაბამისად, ტექნიკური ხარვეზების არარსებობის შემთხვევაში ყველა განაცხადი ფინანსდება.

ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებისათვის, ასევე, მნიშვნელოვანია ჯაჭვის მონაწილეებს შორის საკონტრაქტო შეთანხმებების[27] არსებობა. აღნიშნული ჯაჭვის მონაწილეების ფინანსებზე ხელმისაწვდომობასაც გაზრდის, რადგან კონტრაქტების საშუალებით მარტივდება მსესხებლის შემოსავლების დადასტურება და გადახდისუნარიანობის შეფასება, შედეგად მცირდება რისკები და მარტივდება მათზე სესხის გაცემა. საგულისხმოა, რომ როგორც სტაფილოს მწარმოებლებმა აღნიშნეს, მათ აქვთ წინასწარ გაფორმებული შეთანხმებები როგორც ნედლეულის მომწოდებლებთან, ასევე შემსყიდველებთან. მსგავსმა პრაქტიკამ, თუ ის ოფიციალურ სახეს მიიღებს (ოფიციალურად ხელმოწერილი დოკუმენტები), შესაძლოა გაამარტივოს ფინანსებზე წვდომა, რადგან ეს იქნება ჯაჭვში ჩართულობის და შემოსავლის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხულთა ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ პროგრამებზე. რაც ასევე წარმოადგენს ღირებულებათა ჯაჭვის რგოლების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ბარიერს. ინფორმაციის ნაკლებობაა ასევე იმის მიზეზი, რომ ჯაჭვის რგოლები ძირითადად სესხის ასაღებად მიმართვენ ფინანსურ ინსტიტუტებს და არ განიხილავენ დაფინანსების ალტერნატივებს (მაგ. გარანტია, აკრედიტივი, სხვ.).

სახელმწიფოსა და ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლები საუბრისას აღნიშნავენ, რომ მათი ერთ-ერთი მიზანი ღირებულებათა ჯაჭვების განვითარების ხელშეწყობა და შესაბამისად ჯაჭვის რგოლებისათვის ფულადი სახსრების მიწოდებაა. აქედან გამომდინარე, ფერმერების, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების წარმომადგენლების ღირებულებათა ჯაჭვში ჩართვით, შესაძლებელია მათი ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა.

[27] იგულისხმება დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებს, რომ მეწარმე ჩართულია ჯაჭვში და აქვს კავშირი ღირებულებათა ჯაჭვის სხვა წარმომადგენლებთან

# 6. სექტორის განვითარების პოტენციალი ეროვნულ ბაზარზე

## 6.1 დასაქმების შესაძლებლობები

დღესდღეობით სტაფილოს მოყვანა და აღებაში ძირითადად ოჯახის წევრები არიან ჩართულები. მოსავლის აღების ეტაპზე ზოგ შემთხვევაში ხდება 3-4 ადამიანის დაქირავება რამდენიმე დღით პატარა ფერმებში. შედარებით დიდ ნაკვეთებში საჭიროა 15-20 ადამიანი 10 დღით მაინც. დასაქმების პოტენციალი ყველაზე დიდია სტაფილოს მოყვანის ბოლო ეტაპზე, როდესაც ხდება სტაფილოს ამოღება, ფოჩების მოშორება, გარჩევა და გარეცხვა. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მწარმოებლებისთვის უფრო მისაღებია და ეკონომიურია სამუშაო ძალის ტექნიკით ჩანაცვლება, უფრო მიზანშეწონილია სტაფილოს აღების შემდგომი რგოლების განვითარება (მაგ. გადამუშავება, გასარება, მარკეტინგი და ა.შ.) და ამ გზით დასაქმების ხელშეწყობა. რაც შეეხება სხვა ეტაპებს, სტაფილოს დათესვის პერიოდში გამოიყენება მსხვილი ტექნიკა და სათესი აგრეგატები, რაც ნაკლებად საჭიროებს სამუშაო ძალიას გამოყენებას.

## 6.2 შემოსავლების განერიერება

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სტაფილოს უმსხვილესი მწარმოებელი რეგიონი სწორედ სამცხე-ჯავახეთია, ამ რეგიონისთვის ეს სასოფლო-სამეურნეო კულტურა არ არის წამყვანი კულტურა და შესაბამისად მისი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალის წილი სოფლის მეურნეობიდან მიღებულ შემოსავლებში მერყეობს საშუალოდ 20%-დან 30%-მდე. რაც შეეხება წილს საოჯახო მეურნეობის მთლიან შემოსავლებში, იგი უფრო ნაკლებია და საშუალოდ 10%-15%-ს შეადგენს.

სტაფილოსთან ერთად რეგიონის ფერმერები როგორც წესი აწარმოებენ კარტოფილს, მარცვლეულსა და ჭარხალს. სწორედ კარტოფილია წამყვანი კულტურა რეგიონში და შემოსავლების დიდი ნაწილიც მისი რეალიზაციიდან მოდის. თუმცა კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც მხოლოდ სტაფილოს აწარმოებს და შესაბამისად მათთვის შემოსავლის ძირითადი წყაროც სწორედ სტაფილოს რეალიზაციაა.

## 6.3 გარემოზე გავლენა

ეკოლოგიური თვალსაზრისით სტაფილოს საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს სხვა კულტურებთან შედარებით, რაც გამოიხატება სტაფილოს მოყვანისას გამოყოფილი ნახშიროჟანგის დაბალი დონით. კერძოდ კი 1 კგ სტაფილოზე მოდის 45 გრ. ნახშიროჟანგი, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი ხახვისთვის შედაგენს 80 გრ, კარტოფილისთვის 240 გრ, ხოლო საქონლის ხორცისთვის 15000 გრ. მიუხედავად ამისა, სტაფილოს მოყვანა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურისა, იწვევს ნიადაგის დაბინძურებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ სტაფილოს მოყვანისას ხდება პესტიციდების გამოყენება, რომელიც რჩება ნიადაგში. პესტიციდების გამოყენება უარყოფითად მოქმედებს ბიომრავალფეროვნებაზე, ვინაიდან ზოგჯერ ცხოველები იწამლებიან პესტიციდების ნარჩენებით[28].

[28] ამოღებულია: https://www.sustainweb.org/foodfacts/carrot_fashion/

# 7. გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში მონაწილეობის პოტენციალი

## 7.1 სტაფილოს სექტორი მსოფლიოში

მსოფლიოში სტაფილოს წარმოება ზრდადი ტენდენციით ხასიათდება.

**დიაგრამა 6. სტაფილოსა და თალგამის წარმოება მსოფლიოში**




*წყარო: FAOSTAT, 2018*

*შენიშვნა: მხოლოდ სტაფილოსთვის სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს და მათი შეგროვება ხდება სტაფილოსა და თალგამისთვის ერთად*

სტაფილოს წარმოება მსოფლიოში წლიდან წლამდე საშუალოდ 3%-ით სტაბილურად იზრდება, მაშინ როდესაც აღებული ფართობი საკმაოდ ცვალებადია წლიდან წლამდე. ფართობების შემცირება მოსავლის ზრდის ფონზე შესაძლოა მიანიშნებდეს მოსავლიანობის ზრდაზე.

სტაფილოს ყველაზე მსხვილ მწარმოებელს მსოფლიოში წარმოადგენს ჩინეთი, მან 2016 წელს მსოფლიოში წარმოებული სტაფილოს თითქმის ნახევარი (48%), აწარმოა. აქედან გამომდინარე ათეულში თითოეული დანარჩენი ქვეყნის წილი არ აღემატება 6%-ს. ჯამში პირველი ათეულის ქვეყნები მსოფლიო წარმოების 71%-ს აწარმოებენ.

**დიაგრამა 7. სტაფილოსა და თალგამის უმსხვილესი მწარმოებლები და მათი წილი მსოფლიო წარმოებაში, 2016 წელი**




*წყარო: FAOSTAT, 2018*

2018 წლის მდგომარეობითაც მსოფლიოში სტაფილოს ყველაზე მსხვილი მწარმოებელი ჩინეთია.

სტაფილოს საშუალო მოსავლიანობა მსოფლიოში 2016 წელს იყო 27 ტ/ჰა. ყველაზე მაღალი მოსავლიანობა 2016 წელს დაუფიქსირდა უზბეკეთს, ბელგიასა და ისრაელს.

**დიაგრამა 8. ყველაზე მაღალი მოსავლიანობის მქონე ქვეყნები, 2016 წელი**




*წყარო: FAOSTAT, 2018*

რაც შეეხება მწარმოებელთა ფასებს, ისინი საკმაოდ სტაბილური იყო ბოლო წლების განმავლობაში და მერყეობდა 590 აშშ დოლარი/ტ და 620 აშშ დოლარი/ტ-ს შორის.

**დიაგრამა 9. სტაფილოსა და თალგამის მწარმოებელთა ფასები მსოფლიოში, 2012-2016 წწ.**




*წყარო: FAOSTAT, 2018*

2018 წლის 24 სექტემბრის მდგომარეობით სტაფილოს საშუალო ფასი მსოფლიოში იყო 0.61 აშშ დოლარი/კგ[29] და ფასის ვარიაციის კოეფიციენტი შეადგენდა 16.44%, რაც საშუალო ვარიაციად ითვლება. შესაბამისად სტაფილოს შემთხვევაში, საფასო რისკი საშულო დონის არის, რაც მნიშვნელოვანია სტაფილოს ამჟამინდელი ან პოტენციური მწარმოებლებისთვის.

რაც შეეხება სტაფილოთი საერთაშორისო ვაჭრობას, მსოფლიოში უმსხვილესი ექპორტიორი არის ჩინეთი, რაც არაა გასაკვირი იქიდან გამომდინარე, რომ ჩინეთი უმსხვილესი მწარმოებელია. მას მოჰყვება ჰოლანდია, ბელგია, ესპანეთი და მექსიკა. აღსანიშნავია რომ უმსხვილეს ექსპორტიორებს შორის არიან ევროკავშირის ქვეყნები, რაც ევროკავშირში სტაფილოს სექტორში მაღალ კონკურენციაზე მიანიშნებს.

**ცხრილი 14. სტაფილოსა და თალგამის უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყნები მსოფლიოში, (%)**

| ქვეყანა | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 24% | 26% | 24% | 26% | 27% |
| ჰოლანდია | 15% | 14% | 16% | 12% | 16% |
| ბელგია | 7% | 6% | 5% | 5% | 7% |
| ესპანეთი | 4% | 4% | 4% | 5% | 4% |
| მექსიკა | 3% | 4% | 4% | 4% | 4% |

*წყარო: International Trade Center, 2018*

[29] ამოღებულია: https://www.tridge.com/intelligences/carrot/price

მსოფლიოში უმსხვილესი იმპორტიორების ხუთეულში ისევ ევროკავშირის ქვეყნები ჭარბობენ და აქ ლიდერობს ბელგია, რომელსაც მოჰყვება გერმანია და აშშ. ასევე ხუთეულში არის რუსეთი და საფრანგეთი. აღსანიშნავია, რომ 2013-2014 წწ. რუსეთი სტაფილოს უფრო მეტ იმპორტს ახორციელებდა, ხოლო შემდეგ წლებში შეინიშნება კლების ტენდენცია.

**ცხრილი 15. სტაფილოსა და თალგამის უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნები მსოფლიოში, (ტ)**

| ქვეყანა | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 11% | 10% | 10% | 11% | 10% |
| გერმანია | 10% | 9% | 11% | 9% | 9% |
| აშშ | 6% | 8% | 8% | 8% | 8% |
| რუსეთი | 10% | 10% | 7% | 6% | 7% |
| საფრანგეთი | 6% | 6% | 6% | 6% | 6% |

*წყარო: International Trade Center, 2018*

ვინაიდან რუსეთი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია და ტრანსპორტირებისა და სხვა ტიპის დანახარჯები რუსეთში ექსპორტის შემთხვევაში უფრო დაბალია ვიდრე ევროკავშირის ქვეყნების შემთხვევაში, საინტერესოა რუსეთის სტაფილოს ბაზრის უფრო დეტალურად შესწავლა.

## 7.2 სტაფილოთი საერთაშორისო ვაჭრობა

ვინაიდან საქართველოში სტაფილო შედარებით მცირე რაოდენობით იწარმოება, ქვეყანაში მოხმარებული სტაფილოს უმეტესობა იმპორტულია.

**დიაგრამა 10. სტაფილოს ექსპორტ-იმპორტი, (ტ)**




*წყარო: International Trade Center, 2018*

როგორც დიაგრამა 10-დან ჩანს, სტაფილოს იმპორტი მნიშვნელოვნად აღემატება მის ექსპორტს. სტაფილო ძირითადად თურქეთიდან შემოდის საქართველოში.

**დიაგრამა 11. იმპორტიორი ქვეყნები, 2014-2017 წწ.**




*წყარო: International Trade Center, 2018*

რაც შეეხება საექსპორტო ბაზრებს, ქართული სტაფილო ძირითადად მეზობელ ქვეყნებში გადის ძალიან მცირე რაოდენობით.

## დიაგრამა 12. საექსპორტო ბაზრები, 2014-2017 წწ.




*წყარო: International Trade Center, 2018*

ამჟამად ქართული სტაფილოს საექსპორტო და საიმპორტო ბაზრების პორტფელი არადივერ-სიფიცირებულია.

## 7.3 ევროკავშირში სტაფილოს ექსპორტის პოტენციალი

ევროკავშირის ფარგლებს გარეთ წარმოებული პროდუქტი, როგორც წესი, ევროკავშირის ბაზარზე შესვლისას, ხვდება ორი ტიპის ბარიერს – სატარიფო და არასატარიფო[30].

DCFTA-ს შეთანხმების შედეგად, ქართული ნაწარმით ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებში თავისუფალია, თუმცა ეს შეღავათი არ ვრცელდება ყველა პროდუქტზე და არსებობს გამონაკლისები. პროდუქტები, რომელიც ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს გადანაწილებულია სამ ჯგუფში და ეს ჯგუფები აღწერილია ქვემოთ:

### 1. წლიურ უბაჟო სატარიფო კვოტას დაქვემდებარებული პროდუქტები[31]

ამ კატეგორიაში შედის მხოლოდ ნიორი, რომელზეც დაწესებულია 220 ტონის ოდენობის ქვოტა.

### 2. ბაზარზე შესვლის ფასს დაქვემდებარებული პროდუქტები, რომელთა იმპორტის გადასახადის ადვალორული (ღირებულების შესაბამისი) კომპონენტი გაუქმებულია[32]

ამ სიაში შედის 28 სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, რომელზეც დაწესებულია ე.წ. „შესვლის ფასი“, რაც გულისხმობს ამ პროდუქტების იმპორტზე მინიმალური ფასის ზღვარის დადგენას. ამ შეზღუდვის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ ქართული ნაწარმი ადგილობრივ ნაწარმზე უფრო იაფად არ იყიდებოდეს.

### 3. გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს დაქვემდებარებული პროდუქტები[33]

ამ მექანიზმს ექვემდებარება სოფლის მეურნეობისა და კვების გადამამუშავებელი პროდუქციის 277 სახეობა, რომელთა საექსპორტო რაოდენობა შეზღუდულია წლის განმავლობაში წინასწარ დაწესებული ლიმიტების ფარგლებში. ამ მექანიზმის თანახმად, საქართველოს შეუძლია გადააჭარბოს მითითებულ წლიურ ლიმიტს, თუ იგი დაამტკიცებს რომ რაოდენობის გაზრდა განპირობებულია წარმოების გაზრდით.

აღსანიშნავია, რომ სტაფილო არ შედის არც ერთ გამონაკლისში და მისი ექსპორტი ევროკავშირში თავისუფალია ყოველგვარი გადასახადიდან, თუ იგი დააკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის სტანდარტებს. გარდა ამისა მნიშვნელოვანია, რომ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით სარგებლობისთვის, საქართველოში წარმოებულმა პროდუქტმა დააკმაყოფილოს საქონლის წარმოშობის კრიტერიუმები, რომელიც აღწერილია DCFTA-ს ოქმში.

ამასთანავე, ექსპორტის განვითარების ასოციაციის[34] რჩევით, დამწყები ექსპორტიორისთვის რეკომენდირებულია  შემდეგი საკითხების შესწავლა:

---

[30] სატარიფო ბარიერი – საბაჟო გადასახადი; არასატარიფო ბარიერი – ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები, სტანდარტების მოთხოვნები და პროდუქტის/ პროცესის შესაბამისობის შეფასება (სერტიფიცირება).

[31] დანართი II-A http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/agreement/trade/დანართი%20II.pdf

[32] დანართი II-B http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/agreement/trade/დანართი%20II.pdf

[33] დანართი II-C http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/agreement/trade/დანართი%20II.pdf

[34] ექსპორტის განვითარების ასოციაცია, 2018, ამოღებულია: http://eda.org.ge/eng/

1. ექსპორტისათვის მზაობის შეფასება სპეციალური ტესტის მეშვეობით, რომელიც შემუშავებულია ასოციაციის მიერ;
2. სამიზნე ბაზრების შერჩევა და შესწავლა იმისთვის, რომ მოხდეს ბაზრების სეგმენტირება და წარმოებული პროდუქციის (ამ შემთხვევაში სტაფილოს) პოზიციონირება;
3. სამიზნე ბაზრებზე ვიზიტი, რათა მოხდეს მათი ადგილზე შესწავლა;
4. მარკეტინგული გეგმის შემუშავება.

ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირის „Trade Helpdesk"[35]-ის გამოყენება ევროკავშირის ტერიტორიაზე მოქმედი შიდა გადასახადების შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად. მიუხედავად იმისა, რომ ბოსტნეული ცხოველურ სურსათთან შედარებით დაბალი რისკის სურსათად ითვლება, სტაფილოს ქართველი მწარმოებლებისთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირში მოქმედი სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ევროკავშირიში სტაფილოს უმსხვილესი მწარმოებლები არიან:

1. პოლონეთი
2. დიდი ბრიტანეთი
3. საფრანგეთი

პოლონეთი არის ევროკავშირში სტაფილოს ყველაზე მსხვილი მწარმოებელი, მასზე მოდის ევროპაში წარმოებული სტაფილოს 18%[36]. ასევე მსხვილი მწარმოებლები არიან ჰოლანდია და იტალია.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანა შედის მოსფლიოში უმსხვილეს მწარმოებელთა ათეულში, ევროკავშირის ქვეყნებში სტაფილოს იმპორტი ძალიან მაღალია და ევროპის ბევრ ქვეყანაში კარტოფილის შემდეგ ყველაზე პოპულარული ძირხვენა ბოსტნეული სწორედ სტაფილოა. შესაბამისად მისი მოხმარებაც მაღალია, რაც განაპირობებს მასზე მაღალ მოთხოვნას.

**დიაგრამა 13. ევროკავშირის უმსხვილესი იმპორტიორები, 2017 წელი (ტონა)**




*წყარო: International Trade Center, 2018*

[35] ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი, EU Trade Helpdesk, 2018, ამოღებულია: http://trade.ec.europa.eu/tradehelp/

[36] ამოღებულია: https://www.actahort.org/books/371/371_1.htm

აღსანიშნავია რომ დღესდღეობით (2018 წელს) გერმანია არის ლიდერი იმპორტიორი ქვეყანა, თუმცა წლის ბოლომდე მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს.

ევროკავშირის უმსხვილესი იმპორტიორები ძირითადად მეზობელი ქვეყნებიდან მარაგდებიან, თუ არ ჩავთვლით ისრაელს, რომელიც ჰოლანდიისთვის სტაფილოს მნიშვნელოვანი მიმწოდებელია.

### ცხრილი 16. ევროკავშირში უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნების სავაჭრო პარტნიორები, 2017 წელი

| | იმპორტიორები ევროკავშირში | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ექსპორტიორები ევროკავშირში | ბელგია | გერმანია | საფრანგეთი | ჰოლანდია | ჩეხეთი |
| | ჰოლანდია | ჰოლანდია | ბელგია | ბელგია | ჰოლანდია |
| | საფრანგეთი | იტალია | ესპანეთი | ისრაელი | პოლონეთი |
| | ესპანეთი | ესპანეთი | საფრანგეთი | ესპანეთი | იტალია |
| | დიდი ბრიტანეთი | დანია | ჰოლანდია | გერმანია | დანია |
| | გერმანია | ბელგია | იტალია | დანია | ბელგია |

*წყარო: International Trade Center, 2018*

ევროკავშირში უმსხვილესი მწარმოებლების აგრო კალენდრებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ევროპელი მწარმოებლები ფაქტიურად მთელი წლის განმავლობაში აწარმოებენ სტაფილოს. განსაკუთრებით დიდია სტაფილოს რაოდენობა აგვისტოს მეორე ნახევრიდან ოქტომბრის პირველ ნახევრამდე. ამ პერიოდში სტაფილოს სეზონი ევროკავშირის უმსხვილეს მწარმოებლებში ერთდროულად მიმდინარეობს.

### ცხრილი 17. ევროკავშირის ქვეყნების აგრო კალენდრები




*წყარო: https://www.tridge.com/intelligences/carrot/PL/season*

*შენიშვნა: ღია ფერი მიანიშნებს დაბალ წარმოებაზე, მუქი ფერი კი – მაღალ წარმოებაზე.*

ზოგადად დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაში ივნისი-ოქტომბერი გამოირჩევა სტაფილოს მაღალი მიწოდებით ბაზარზე, ხოლო დანარჩენ პერიოდებში სტაფილოს მიწოდება შედარებით ნაკლებია. თუმცა აღსანიშნავია ის, რომ სტაფილო ხელმისაწვდომია მთელი წლის განმავლობაში, მათ შორის ზამთარშიც, რაც მიუთითებს სათბურებში სტაფილოს წარმოებაზე. მარტი-მაისი არის პერიოდი, როდესაც ევროკავშირის ბაზარზე შედარებით ნაკლებია მიწოდება. ამრიგად ქართველმა მწარმოებელმა სწორედ ამ პერიოდზე უნდა მოახდინოს ფოკუსირება.

რაც შეეხება სტაფილოს ფასებს, ქვემოთ წარმოდგენილია მწარმოებელთა საშუალო ფასები ევროკავშირსა და საქართველოში. ამ შედარებიდან ჩანს, რომ ქართული სტაფილო ოდნავ უფრო

იაფია, ვიდრე ევროპული. თუმცა განსხვავება არ არის დიდი და ტრანსპორტირებისა და დაზღვევის დანახარჯების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ფასი არ იქნება კონკურენტული ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობაში.

### დიაგრამა 14. სტაფილოსა და თალგამის მწარმოებელთა ფასები (საშუალო) ევროკავშირში




*წყარო: FAOSTAT, 2018*

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, შესაძლებელია საქართველოსთვის უფრო საინტერესო იყოს იმ ქვეყნებზე ფოკუსირება, სადაც მწარმოებელთა ფასები შედარებით მაღალია. ესენია ლუქსემბურგი, საბერძნეთი და ნორვეგია.

### დიაგრამა 15. მწარმოებელთა ფასები ევროკავშირის რიგ ქვეყნებსა და საქართველოში




*წყარო: FAOSTAT, 2018*

ნორვეგიის შემთხვევაში ტრანსპორტირების დანახარჯი სავარაუდოდ მაღალი იქნება, რაც გააძვირებს ექსპორტს და ნაკლებად კონკურენტუნარაინს გახდის ქართულ სტაფილოს.

რაც შეეხება ლუქსემბურგს, მასთან გეოგრაფიულად ახლოს მდებარეობენ უმსხვილესი მწარმოებლები, რაც ასევე ართულებს ქართული სტაფილოს ლუქსემბურგის ბაზარზე გასაღებას და აქედან გამომდინარე საბერძნეთის ბაზარი შესაძლოა საკმაოდ საინტერესო ალტერნატივა იყოს ქართული სტაფილოსთვის.

თუმცა საბერძნეთის სტაფილოს ბაზრის უფრო დეტალური ანალიზი აჩვენებს, რომ ეს ბაზარიც საკმაოდ გაჯერებულია. საბერძნეთი სტაფილოს წმინდა იმპორტიორია და ძირითადად მარაგდება გერმანიიდან, რომელზეც მოდის საბერძნეთის იმპორტის 43%. დანარჩენი მსხვილი მიმწოდებლებია ჰოლანდია, ბელგია და იტალია.

### ცხრილი 18. საბერძნეთის სტაფილოს ბაზრის სავაჭრო ინდიკატორები

| მიმწოდებლები | იმპორტის ღირებულება (ათასი აშშ დოლარი), 2017 წ. | სავაჭრო ბალანსი (ათასი აშშ დოლარი), 2017 წ. | მიმწოდებელი ქვეყნის წილი საბერძნეთის მთლიან იმპორტში (%), 2017 წ. | იმპორტის რაოდენობა (ტ), 2017 წ. | ერთეულის ფასი (აშშ დოლარი/ტონა), 2017 წ. | პროცენტული ცვლილება იმპორტის რაოდენობაში 2013-2017 წწ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მსოფლიო | **2733** | **-2121** | **100** | **4293** | **637** | **3** |
| გერმანია | 1175 | -1162 | 43 | 1305 | 900 | 3 |
| ჰოლანდია | 457 | -428 | 16.7 | 474 | 964 | 3 |
| ბელგია | 392 | -361 | 14.3 | 705 | 556 | -8 |
| იტალია | 334 | -334 | 12.2 | 554 | 603 | -3 |
| პოლონეთი | 171 | -171 | 6.3 | 588 | 291 | 4 |
| საფრანგეთი | 85 | -85 | 3.1 | 152 | 559 | 73 |
| ბულგარეთი | 54 | 219 | 2 | 254 | 213 | |
| თურქეთი | 49 | -49 | 1.8 | 180 | 272 | 54 |
| ჩეხეთი | 13 | -13 | 0.5 | 67 | 194 | 83 |
| ალბანეთი | 2 | 18 | 0.1 | 10 | 200 | |
| სერბეთი | 1 | 6 | 0 | 3 | 333 | |

*წყარო: International Trade Center, 2018*

აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის საბერძნეთის ბაზარზე შესვლაც საკმაოდ ძნელი იქნება.

მწარმოებელთა ფასებთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია საბითუმო ფასებსა და თვითღირებულებაზე დაკვირვება. როგორც ცხრილიდან ჩანს, პოლონური სტაფილოს თვითღირებულება ყველაზე დაბალია, რაც საშუალებას აძლევს პოლონელ მწარმოებლებს, რომ შედარებით დაბალ საბითუმო ფასში გაყიდონ პოლონური სტაფილო.

საინტერესეოა ისიც, რომ ბრიტანეთს, რომელიც წარმოებით მეორე ადგილზეე ევროპაში, საკმაოდ მაღალი თვითღირებულება აქვს, რაც სათანადოდ ასახული არაა საბითუმო ფასში და შესაძლოა სუბსიდიების არსებობაზე მიუთითებდეს, რაც უფრო რთულს ხდის კონკურენციას.

### ცხრილი 19. საბითუმო ფასები და თვითღირებულება ევროკავშირის რიგ ქვეყნებში

| მწარმოებელი ქვეყანა | საბითუმო ფასი აშშ დოლარი/კგ (2018 წლის 24 სექტემბრის მდგომარეობით) | თვითღირებულება აშშ დოლარი/კგ |
|---|---|---|
| პოლონეთი | 0.42 | 0.10 |
| ბრიტანეთი | 0.69 | 0.52 |
| საფრანგეთი | 1.10 | 0.23 |
| ჰოლანდია | - | 0.16 |

*წყარო: https://www.tridge.com/intelligences/carrot/FR*

ზემოთმოცემულ თვითღირებულებებთან ქართული სტაფილოს თვითღირებულების შესადარებლად, საჭიროა იმ დამატებითი ხარჯების გათვალისწინება, რომლის გაღებაც მოუწევს ქართველ ექსპორტიორს იმ შემთხვევაში თუ ის ევროკავშირში ექსპორტს განახორციელებს. ამრიგად, ქართული სტაფილოს ევროკავშირში ექსპორტის შემთხვევაში უნდა მოხდეს შემდეგი დამატებითი დანახარჯების გათვალისწინება:

## 1. ტრანსპორტირების დანახარჯი

ტრანსპორტირება როგორც წესი ხდება 20-ტონიანი კონტეინერებით, რომლის ღირებულებაც მერყეობს 4000-დან 5000 ევრომდე (12342 ლარიდან – 15427 ლარამდე[37]). ტრანსპორტირებისას საჭიროა გარკვეული ტემპერატურული რეჟიმის დაცვა (ბოსტნეულის შემთხვევაში ძირითადად +4 °C) და იმის გათვალისწინება, რომ სტაფილო სხვა ტიპის გადასაზიდ ტვირთებთან (მაგ. საყოფაცხოვრებო ტექნიკა) შედარებით მალფუჭებადია და მისი გადაზიდვა, ისევე როგორც ნებისმიერი სურსათისა, უფრო სარისკოა გადამზიდისთვის. დამატებით სირთულეს გადამზიდისთვის ისიც წარმოადგენს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ტრანსპორტირებისას საჭიროა ფიტო-სანიტარული სერტიფიკატი და ალბათობა იმისა, რომ მანქანა შეიძლება შეაყოვნონ საბაჟოზე უფრო დიდია სასოფლო-სამერნეო პროდუქტების ტრანსპორტირებისას, ვიდრე სხვა შემთხვევაში. შეყოვნება კი დამატებითი დანახარჯია გადამზიდისთვის (150 ევრო ყოველ დამატებით დღეზე, რომელსაც მანქანა ატარებს საბაჟოზე).

## 2. დაზღვევის დანახარჯი

სტაფილოს ტრანსპორტირება საჭიროებს დაზღვევას და დაზღვევის ღირებულება, როგორც წესი, შეადგენს ზედნადებში მითითებული ღირებულების 0.25%-დან 0.35%-მდე.

[37] 4000 და 5000 ევროს ექვივალენტი ლარში, საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის 24 სექტემბრის გაცვლითი კურსით (3.0854 ლარი/ევრო)

## 3. სურსათის უვნებლობის საკითხებთან დაკავშირებული დანახარჯები

როგორც ზემოთ აღინიშნა, სტაფილოს ტრანსპორტირებისას აუცილებელია ფიტოსანიტარული სერტიფიკატი, რომლის საფასურიც შეადგენს 25 ლარს. პირველადი წარმოებისთვის სხვა სავალდებულო სურსათის უვნებლობის სერტიფიკატი არ არსებობს, თუმცა ევროპის ქვეყნებში მყიდველმა შესაძლოა მოითხოვოს სხვადსხვა ტიპის საბუთები. ერთ-ერთი არის მძიმე მეტალის შემცველობაზე ანალიზი, რომელიც კეთდება ადგილობრივად საქართველოში და რომლის ღირებულებაც შეადგენს 150-170 ლარს.

გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით, ევროკავშირში აქტუალურია პირველადი წარმოებისთვის გამიზნული საერთაშორისო სტანდარტი -GLOBALG.A.P. – ევროკავშირის საცალო ვაჭრობის ობიექტების ნედლი პროდუქტების სამუშაო ჯგუფების მიერ შემუშავებული სტანდარტი. ეს არის დამოუკიდებელი სასერტიფიკაციო სქემა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების სანიმუშო პრაქტიკისთვის. მას ითხოვენ და აღიარებენ საცალო ვაჭრობის ობიექტები (სუპერმარკეტები, ჰიპერმარკეტები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები) არა მხოლოდ ევროკავშირში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

სტანდარტი ნებაყოფლობითია და მისი ჩამოტვირთვა შესაძლებელია უფასოდ[38]. აღსანიშნავია, რომ აკრედიტებული სერტიფიცირების ორგანოები ასევე აღიარებული უნდა იყვნენ GLOBALG.A.P.-ის მიერ და ამჟამად საქართველოში ასეთი არ მოიპოვება, თუმცა არსებობს საკონსულტაციო კომპანიები, რომლებიც ეხმარებიან მწარმოებლებს სტანდარტის დანერგვაში. ასეთი საკონსულტაციო კომპანიებია მაგალითად STAR Consulting[39] და GDCI[40].

GLOBALG.A.P.-ის სტანდარტი ხილისა და ბოსტნეულისთვის მოიცავს სასოფლო- სამეურნეო პროდუქტის წარმოების სრულ ციკლს, ადგილის შერჩევიდან და ნიადაგის დამუშავებიდან პროდუქტის დამზადების, დაფასოების, შეფუთვის ეტაპებამდე. სერტიფიკატი ვარგისია აღებიდან 12 თვის განმავლობაში და ფერმერულ მეურნეობას სტანდარტის დანერგვა უჯდება მინიმუმ 10000 აშშ დოლარი. ამ თანხის 50% მოდის ადგილობრივი საკონსულტაციო კომპანიის მომსახურების ანაზღაურებაზე, ხოლო დანარჩენი 50% უშუალოდ აუდიტსა და სერტიფიცირებაზე. გარდა ამისა ყველაზე დიდი ხარჯი, რომლის შეფასებაც წინაწარ შეუძლებელია, მოდის იმ ინფრასტრუქტურულ ცვლილებებზე, რომელიც უნდა დანერგოს ფერმერულმა მეურნეობამ კონსულტაციების შედეგად. სურსათის უვნებლობის ექსპერტის შეფასებით, სამცხე-ჯავახეთის სტაფილოს შემთხვევაში მოწესრიგებული შენობა-ნაგებობის შემთხვევაშიც კი, ყველაზე დიდი პრობლემა შესაძლოა იყოს სარწყავ წყალში მეტალების შემცველობა, რაც უარყოფითად აისახება სტაფილოს უვნებლობაზე და შედეგად მომხმარებლის ჯანმრთელობაზე. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს რეგიონებში (მათ შორის სამცხე-ჯავახეთშიც), ბევრ ფერმერს სურსათის უვნებლობის მინიმალური სანიმუშო პრაქტიკაც კი არ აქვს დანერგილი, არა თუ ისეთი სტანდარტები, რომელსაც GLOBALG.A.P. მოითხოვს.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული დანახარჯი (მხოლოდ სერტიფიცირების კომპონენტის გათვალისწინებით) მწარმოებლისთვის შეიძლება მერყეობდეს 25 ლარიდან მხოლოდ ფიტოსანიტარული სერტიფიკატის შემთხვევაში 24617

[38] სტანდარტის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ: https://www.globalgap.org/uk_en/

[39] http://www.starconsulting.ge

[40] http://gdci-georgian.weebly.com/432143044313431743164321432343144322430443304312431 7-43184320431743074323432543224308430543 12.html

ლარამდე[41] GLOBALG.A.P.-ის სერტიფიკატის შემთხვევაში, თუ არ გავითვალისწინებთ ინფრასტრუქტურის ცვლილებაზე საჭირო დანახარჯებს.

თუ დავუშვებთ, რომ ევროკავშირში ექსპორტისას ქართული სტაფილოს ფასი ცხრილ 16-ში წარმოდგენილი საბითუმო ფასების საშუალოა და 0.74 აშშ დოლარი/კგ (1.93 ლ/კგ) შეადგენს, ხოლო ტრანსპორტირების დანახარჯი საშუალოდ შეადგენს 13885 ლარს, სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები – 185 ლარს (ფოტოსანიტარული სერტიფიკათი და ანალიზი მძიმე ლითონების შემცველობაზე), დაზღვევა – ზედნადებში მითითებული მთლიანი ღირებულების 0.3%, მაშინ სტაფილოს მოყვანისა და ევროკავშირში ტრანსპორტირების დანახარჯი შეადგენს:

### ცხრილი 20. დანახარჯები ექსპორტის დროს

| დანახარჯი | მნიშვნელობა |
|---|---|
| მოყვანა (ლ/ჰა) | 8015 |
| ტრანსპორტირება (ლ) | 13885 |
| სერტიფიცირება (ლ) | 185 |
| დაზღვევა (ლ) | 129 |
| **სულ დანახარჯი (ლ/ჰა)** | **22214** |

*შენიშვნა: საშუალო მოსავალი არის 25000 კგ/ჰა, საიდანაც 10% არის დანაკარგი და შესაბამისად რჩება 22250 კგ/ჰა*

იმ დაშვებით, რომ გასაყიდი ფასი შეადგენს 1.93 ლ/კგ, ხოლო მოსავალი 25000 კგ/ჰა და 10% იკარგება შენახვა-ტრანსპორტირების დროს, შემოსავალი გაყიდვებიდან შეადგენს 42943 ლ/ჰა, ხოლო მოგება 20729 ლ/ჰა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ადგილობრივად საქართველოში სტაფილოს გაყიდვებიდან მიღებულ მოგებას. მოგების მარჟა აბსოლუტური მნიშვნელობით შეადგენს 0.93 ლ/კგ, ხოლო პროცენტულად 48%-ს. თვითღირებულება ამ შემთხვევაში შეადგენს 1.00 ლ/კგ. ექსპორტის დროს თვითღირებულებაც და მოგების მარჟაც უფრო მაღალია ვიდრე ადგილობრივად გაყიდვის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ მოცემული დაანგარიშება არ ითვალისწინებს GLOBALG.A.P-ის ან რაიმე სხვა საერთაშორისო სერტიფიკატის დანახარჯებს. რაც არამომგებიანს გახდიდა წარმოებას არსებული პროდუქტიულობის პირობებში.

თუ მოხდება GLOBALG.A.P-ის სერტიფიკატის აღების დანახარჯების გათვალისწინება მაშინ წარმოების დანახარჯი გაიზრდება, რაც ასახულია ცხრილ 18-ში:

[41] 10000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის 26 სექტემბრის გაცვლითი კურსით (2.6184 ლარი/აშშ დოლარი)

### ცხრილი 21. წარმოების დანახარჯები GLOBALG.A.P-ის გათვალისწინებით

| დანახარჯი | მნიშვნელობა |
|---|---|
| მოყვანა (ლ/ჰა) | 8015 |
| ტრანსპორტირება (ლ) | 13885 |
| სერტიფიცირება (ლ) | 185 |
| დაზღვევა (ლ) | 129 |
| სერტიფიკატის აღების ხარჯი (ლ) | 24617 |
| **სულ დანახარჯი (ლ/ჰა)** | **46831** |

*შენიშვნა: საშუალო მოსავალი არის 25000 კგ/ჰა, საიდანაც 10% არის დანაკარგი და შესაბამისად რჩება 22250 კგ/ჰა*

იმ დაშვებით, რომ გასაყიდი ფასი შეადგენს 1.93 ლ/კგ, ხოლო მოსავალი 25000 კგ/ჰა და 10% იკარგება შენახვა-ტრანსპორტირების დროს, შემოსავალი გაყიდვებიდან შეადგენს 42943 ლ/ჰა, რაც ნაკლებია ცხრილ 18-ში მოყვანილ დანახარჯზე და ამ შემთხვევაში ფერმერის წაგება 3888 ლ შეადგენს. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ის რომ ცხრილში მოყვანილი დანახარჯი არ ითვალისწინებს იმ ინფრასტრუქტურულ ცვლილებებზე დანახარჯს, რისი გაწევაც მოუწევს ფერმერს ექსპერტის კონსულტაციის შემდეგ.

ამრიგად დღევანდელი მოსავლიანობისა და წარმოების პრაქტიკის პირობებში, ევროკავშირში სტაფილოს ექსპორტი არამომგებიანია.

# 8. SWOT ანალიზი და დისკუსია

სტაფილო შეესაბამება სამცხე-ჯავახეთის კლიმატურ-ნიადაგურ პირობებს და ამ რეგიონში სტაფილოს წარმოების ყველაზე დიდი გამოცდილება და ცოდნაა დაგროვილი სხვა რეგიონებთან შედარებით. სტაფილო არის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ბოსტნეული. გარდა ამისა იგი არის უხვმოსავლიანი და შედარებით ადვილად მოსაყვანი, ვინაიდან საკმაოდ რეზისტენტულია დაავადებების მიმართ და არ საჭიროებს ბევრ რწყვას. რესპოდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ სტაფილოს მოყვანა საქართველოს სხვა რეგიონებშიც შეიძლება და ასევე შესაძლებელია მოსავლის წელიწადში ორჯერ აღება, რაც ევროპაში აპრობირებული პრაქტიკაა.

იქიდან გამომდინარე, რომ ჯანსაღი კვება სულ უფრო პოპულარული ხდება მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, მოსალოდნელია მომავალში სტაფილოზე მოთხოვნის ზრდა.

რაც შეეხება გამოწვევებს, დაბალი ხარისხის თესლი და მცენარეთა დაცვის საშუალებები არის ყველაზე დიდი გამოწვევა ფერმერებისთვის. რესპოდენტების უმეტესობა სწორედ ამ გამოწ-ვევას მიიჩნევს ყველაზე დიდ დაბრკოლებად არა მხოლოდ მოსავლიანობის კუთხით, არამედ სტაფილოს არადამაკმაყოფილებელი ვიზუალური მახასიათებლების კუთხით.

გარდა ამისა მნიშვნელოვანია სარწყავი სისტემის არ არსებობა, რაც ძალიან აფერხებს არა მხოლოდ სტაფილოს სექტორის განვითარებას, არამედ სხვა კულტურების მოსავლიანობის გაზრდას. მიუხედავად იმისა, რომ რესპოდენტების უმეტესობა სტაფილოს ძლიერ მხარედ მიიჩნევდა იმას, რომ სტაფილოს რწყვა არ სჭირდება, ევროპული გამოცდილების თანახმად, ეს ფაქტი შესაძლოა არ შეესაბამებოდეს სიმართლეს, რადგან სტაფილოს მოსავლიანობაზე უდი-დეს გავლენას ახდენს ირიგაცია. რეგიონის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, შესაძლოა სტაფილო არ საჭიროებს ბევრ მორწყვას, მაგრამ ურწყავად მოსავლის აღება შეუძლებელია.

რესპონდენტების მიერ ასევე აღინიშნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმწირე. განსაკუთრე-ბით პრობლემატურია სხვადასხვა აგრეგატების სიმწირე სტაფილოს მოსავლის აღების ეტაპზე, რის გამოც დანახარჯები იზრდება, რაც პირდაპირ აისახება თვითღირებულებაში.

ასევე შეინიშნება საწყობებისა და გადამამუშავებლების სიმწირე. ასე რეგიონში არ არსებობს გადამამუშავებელი, რომელიც ჩაიბარებდა როგორც სტანდარტულ, ისე არასტანდარტულ (და-ბალი ვიზუალური მახასიათებლები) სტაფილოს.

გარდა ამისა აღინიშნება ახალგაზრდების მიგრაცია სოფლიდან ქალაქში და საზღვარგარეთ, რაც ასევე აფერხებს სექტორის განვითარებას.

არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, სექტორში უმარავი შესაძლებლობა არსებობს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მოსავლიანობისა და ნათესი ფართობების ზრდაა. კვლევამ აჩ-ვენა, რომ სამცხე-ჯავახეთში არის რამდენიმე ძალიან მაღალი პროდუქტიულობის მქონე სოფე-ლი და ზოგი მწარმოებლის შემთხვევაში, მოსავლიანობა ევროპულ საშუალოზე მაღალიც არის, რაც მიანიშნებს ამ სექტორის პოტენციალზე.

სტაფილოს სექტორის ძლიერი და სუსტი მხარეები, სექტორში არსებულ შესაძლებლობებთან და საფრთხეებთან ერთად, წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში.

### ცხრილი 22. სვოტ ანალიზი




ამრიგად სტაფილოს მოყვანას საკმაოდ ბევრი დადებითი მხარე აქვს და მნიშვნელოვანია, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოხდეს სტაფილოს ნათესი ფართობების გაზრდა შემდეგი მიზეზების გამო:

1. კარტოფილი არის რეგიონისთვის მონოკულტურა, რაც უარყოფითად აისახება მიწის ნაყოფიერებაზე. წლიდან წლამდე ერთი და იგივე კლტურის თესვა იწვევს ნიადაგის გამოფიტვასა და პროდუქტიულობის შემცირებას. ამიტომ აუცილებელია კულტურების მონაცვლეობა, რისთვისაც საკმაოდ კარგად გამოდგება სტაფილო.

2. ერთ კულტურაზე დამოკიდებულება ზრდის რისკს ფერმერისთვის. მართალია სპეციალიზაცია ხელს უწყობს წარმოების მასშტაბს და შედეგად ამცირებს დანახარჯებს ერთეულის წარმოებაზე, ერთ კულტურაზე ფოკუსირება მაინც სარისკოა ფერმერისთვის.
3. იმპორტის დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, მოთხოვნა სტაფილოზე მაღალია, რაც მოუთითებს იმაზე, რომ ფერმერისთვის სტაფილო კომერციულად მიმზიდველი კულტურაა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ბევრია დაუმუშავებელი სასოფლო-სამეურნეო მიწა, აუცილებელია ისეთი სასფოლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ზრდა ადგილობრივად, რომელიც ამ ეტაპზე თითქმის სრულად ჩანაცვლებულია იმპორტირებული პროდუქტით.

რაც შეეხება სტაფილოს ექსპორტს ევროკავშირში, ამ ეტაპზე უფრო მიზანშეწონილია იმპორტის ჩანაცვლებაზე ფოკუსირება შემდეგი მიზეზების გამო:

1. სტაფილოს უმსხვილესი მწარმოებლები ევროპული ქვეყნები არიან რაც ამცირებს ქართული სტაფილოს კონკურენტუნარიანობას ევროპულ ბაზარზე;
2. არსებული პროდუქტიულობის პირობებში, ქართული სტაფილოს თვითღირებულება მნიშვნელოვანად აღემატება უმსხვილესი ევროპელი მწარმოებლების თვითღირებულებას, რაც ასევე უარყოფითად აისახება ქართული სტაფილოს კონკურენტუნარიანობაზე;
3. ამჟამად რეგიონის ფერმერებისთვის სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სერტიფიკატის დანახარჯი ძალიან მაღალია, ვინაიდან სურსათის უვნებლობის სანიმუშო პრაქტიკაც კი არაა ამ ეტაპზე სრულად დანერგილი.

# 9. რეკომენდაციები

## 9.1 რეკომენდაციები მწარმოებლებს

ყველაზე მთავარი რეკომენდაცია მწარმოებლისთვის გულისხმობს სტაფილოს ნათესი ფართობებისა და მოსავლიაობის გაზრდას. ამისთვის კი მეტი ინოვაციური მიდგომა და უცხოელების გამოცდილების გაზიარება არის საჭირო. მეტი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული სტაფილოს საადრეო ჯიშების წარმოების განვითარებაზე და იმ მეთოდების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს სტაფილოს არასეზონურად წარმოებას არა მხოლოდ სათბურებში, არამედ ღია გრუნტზე.

მაგალითად, ბრიტანეთში სტაფილო თითქმის მთელი წლის განმავლობაში მოჰყავთ სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით[42]. მაგალითად, საადრეო სტაფილო ითესება ზამთარში ან ადრე გაზაფხულზე და ნათეს ფართობებს აფარებენ პოლიეთილენს რომ სტაფილო არ გაიყინოს. საადრეო სტაფილოს აღება ხდება ივნისიდან აგვისტომდე პერიოდში.

ღია გრუნტში თესვის შემთხვევაში სტანდარტულად ითესება გაზაფხულზე და მოსავლის აღება ხდება აგვისტოდან პირველ წაყინვებამდე.

კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც გამოიყენება ბრიტანეთში არის სტაფილოს ნათესი ფართობების გამხმარი ბალახით/თივით დაფარვა. ამ შემთხვევაში სტაფილო ითესება აპრილი-ივნისი პერიოდში (ადრე ივნისი) და მოსავლის აღება ხდება დეკემბერი-მაისის პერიოდში. თივით გადაფარება იცავს სტაფილოს სიცივისგან და ასევე უზრუნველყოფს, რომ სტაფილოს თესლი იყოს სიბნელეში და ნაადრევად არ აღმოცენდეს მაგ. გაზაფხულზე. ბრიტანელმა ფერმერებმა ეს პრაქტიკა დანერგეს 1990-იან წლებში და მას შემდეგ წარმატებით იყენებენ.

მნიშვნელოვანია ასევე თურქეთის მაგალითის გამოყენებაც. თურქეთში სტაფილოს სეზონი მიმდინარეობს ოქტომბრიდან ივნისის ჩათვლით, რას საშუალებას აძლევს თურქეთს, რომ სტაფილო მიაწოდოს ბაზარს დეფიციტურ თვეებშიც.

არასეზონური წარმოება ხელს შეუწყობს იმპორტის ჩანაცვლებას და მომავალში ექსპორტის განვითარებას.

## 9.2 რეკომენდაციები კერძო სექტორს

სტაფილოს სექტორის განვითარებისთვის აუცილებელია კერძო სექტორის ჩართულობა. კერძო სექტორის როლი უნდა იყოს მაღალი თესლის წარმოების განვითარებაში, ხარისხიანი მცენარეთა დაცვის საშუალებების მიწოდებაში და ნარჩენების გადამუშავებაში, რომელიც ასევე ერთ-ერთი გამოწვევაა სტაფილოს სექტორში.

კერძო სექტორი ასევე აქტიურად შეიძლება იყოს ჩართული ექსპორტის პროცესში, ვინაიდან ექსპორტი როგორც წესი ხორციელდება მსხვილი სადისტრიბუციო კომპანიების მიერ. ამიტომ

[42] ამოღებულია: http://britishcarrots.co.uk/carrot-production-facts/

მნიშვნელოვანია მათში სტაფილოს მიმართ ინტერესის გაღვივება, რომ მოთხოვნა სტაფილოზე გაიზარდოს და ფერმერმაც მეტი აწარმოოს.

## 9.3 რეკომენდაციები მთავრობას

მიუხედავად იმისა, რომ სტაფილოს მწარმოებელთა ნაწილის აზრით სტაფილო არ საჭიროებს ბევრ მორწყვას, ევროპული ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ირიგაცია ძალიან მნიშვნელოვანია და უდიდეს გავლენას ახდენს სტაფილოს მოსავლიანობაზე. ვინაიდან ირიგაცია დადებითად მოქმედებს არა მხოლოდ სტაფილოზე, არამედ სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე, მნიშვნელოვანია რომ მთავრობისთვის ეს საკითხი იყოს პრიორიტეტული.

დიდია სახელმწიფოს როლი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიწოდებაშიც. მართალია, სახელწიფო მუშაობს ამ მიმართულებით, თუმცა ჯერ ვერ მოხერხდა ტექნიკის დროულად და ეფექტურად მიწოდების მოდელის შემუშავება.

## 9.4 რეკომენდაცია CSO-ებისთვის

სტაფილოს სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციეს გააქტიურება, ვინაიდან მათ შეუძლიათ მიაწოდონ ფერმერებს ინფორმაცია DCFTA-სთან და ზოგადად ექსპორტის შესაძლებლობებთან დაკავშრებით. გარდა ამისა მათ შეუძლიათ კონსულტაცია გაუწიონ ფერმერებს სურსათის სანიმუშო პრაქტიკის დანერგვის კუთხით და ასევე დაეხმარონ ფერმერებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების შესწავლაში.

# 10. ბიბლიოგრაფია


- აგროკავკასია, სტაფილო – მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია და ჯიშები, ამოღებულია: http://agrokavkaz.ge/dargebi/mebostneoba/staphilo-movla-moqhvanis-teqnologia-da-jishebi.html, 2018
- აგრარული პროექტების მართვის სააგენტო, აგროდაზღვევის პროექტი, ამოღებულია: http://apma.ge/projects/read/agroinsurance/17:child, 2018
- ასოცირების ხელშეკრულება, დანართი II-A, II-B, II-C, ამოღებულია: http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/agreement/trade/დანართი%20II.pdf
- ბიზნეს პრეს ნიუსი, ამოღებულია: https://bpn.ge/biznesi/17803-saqarthveloshi-importirebuli-thurquli-stafilo-84-iani-machveneblith-liderobs.html, 2018
- ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი, EU Trade Helpdesk, 2018, ამოღებულია: http://trade.ec.europa.eu/tradehelp/
- ექსპორტის განვითარების ასოციაცია, ამოღებულია: http://eda.org.ge/eng/, 2018
- ვეგეტარიანული საზოგადოება, ბრიტანული წარმოება, ამოღებულია: https://www.vegsoc.org/sslpage.aspx?pid=525, 2018
- გლობალური სავაჭრო პლატფორმა, ამოღებულია: https://www.tridge.com/intelligences/carrot/FR, 2018
- საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრი, International Trade Center, 2018
- საქართველოს ეროვნული ბანკი, გაცვლითი კურსის სტატისტიკა, 2018
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ოპერატიული მონაცემები, 2018
- საქსტატი, 2018
- სტაფილოს წარმოების დანახარჯები ჰოლანდიაში, ამოღებულია: https://www.onions-potatoes.com/agriculture/costs/carrots.php, 2018
- სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, FAOSTAT, 2018
- ხილისა და ბოსტნეულის სეზონური კალენდარი დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპისთვის Aid infodienst, Bonn/Germany, ამოღებულია: http://na-nu.com/terfloth.org/Kitchen/Season_Cal.pdf, 2018